


როზეტა ასათიანი

**გლობალიზაცია,  
ეკონომიკური თეორია  
და  
საქართველო**

 გამომცემლობა „სიახლე“  
თბილისი 2010

316.32+33.01[(479.22)

ა-871

**როზეტა ასათიანი.** გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2010 – 84 გვ.

ნაშრომში განხილულია ეკონომიკური თეორიის როლი გლობალიზაციის გენეზისსა და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში; გაანალიზებულია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოს მაკროეკონომიკურ რეგულირებაში დაშვებული არსებითი ხასიათის შეცდომები, ეკონომიკურ პოლიტიკაში მსოფლიოში აპრობირებული თეორიების გაუთვალისწინებლობისა და ქვეყნის თავისებურებების არაადეკვატური მოდელის გამოყენების გამო. მოვლენათა კრიტიკული შეფასების საფუძველზე გაკეთებულია სათანადო დასკვნები და გამოთქმულია მოსაზრებები ზოგიერთი პრობლემის გადაჭრის მიზნით.

ნაშრომი განკუთვნილია არა მხოლოდ მეცნიერ-ეკონომისტებისა და ეკონომიკური სპეციალობების სტუდენტებისათვის, არამედ შესაბამისი დარგის სახელმწიფო მოხელეებისთვისაც. ვფიქრობთ, იგი საინტერესო იქნება ქვეყნის ბედით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვისაც.

### **მმცნიერ-რედაქტორი**

**იაკობ მესხია** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

### **რეცენზენტები**

**ვლადიმერ პაპავა** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

**ნოდარ ჭითანავა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ISBN 978-99940-875-9-4

© გამომცემლობა „სიახლე“, 2010.

## რედაქტორისაზანი

დღეს საქართველოში თითქმის ყველა ეკონომისტობს. არა-პროფესიონალები ნებისმიერ ეკონომიკურ კითხვას უპასუხებენ, არა იმიტომ, რომ ეკონომიკა იციან, არამედ იმიტომ, რომ მათ ეკითხებიან, ხოლო პროფესიონალებს არ ეკითხებიან. არ ეკითხებიან იმიტომ, რომ მათ ეკონომიკა კარგად იციან და მათი პასუხი არასასურველია დღევანდელი “პიარ-ეკონომიკის” შემქმნელთათვის.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ პროფესიონალი, დიდი მეცნიერული გამოცდილების მქონე სწავლული ეკონომისტის მიერ არის დაწერილი. განსხვავებით დღევანდელი ზოგიერთი პრეტენზიული პუბლიკაციისაგან, რომლებიც ძირითადად ინტერნეტ-რესურსებიდან სასწავლო-მომოხილვეთი ზოგადი დებულებების მექანიკული კომპილაციითა შედგენილი, პროფესორ რ. ასათიანის ნაშრომი არის ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის ანალიზისა და განზოგადების საუკეთესო ნიმუში.

თანამედროვე გლობალიზაციამ წინა პლანზე წამოსწია პრაგმატიზმი, ნებისმიერ ფასად მოგების მიღება და თითქმის არ დატოვა ადგილი ეკონომიკური ინტეგრაციის საბოლოო შედეგების თეორიული გააზრებისა და პროგნოზირებისათვის. სამყარო მოკლევადიანი ინტერესებით ცხოვრობს, უკანა პლანზე გადაიწია გრძელვადიანმა პრიორიტეტებმა და სწორედ ამითაცაა განპირობებული ეკონომიკური ციკლებისა და კრიზისების ხდომილობებს შორის დროითი ინტერვალის თანდათანობითი შემცირება.

ნაშრომის შესახებ პოზიტიურ წარმოდგენას იძლევა საკვლევო პრობლემის აქტუალურობა, მისი კარგად გააზრებული სტრუქტურა, ღრმა შინაარსი, აკადემიური ენა და, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, საკვლევო საკითხების ერთმანეთთან მჭიდრო ლოგიკურ კავშირში გადმოცემა.

ნაშრომში სიღრმისუღადაა შესწავლილი გლობალიზაციის გენეზისი და თანამედროვე ანატომია, მისი წინააღმდეგობრივი ხასიათი. ავტორი ორიგინალურად აყალიბებს მსოფლიო ეკონომიკუ-

რი წესრიგის ტრანსფორმაციისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საინტერესო პარადიგმებს.

ავტორის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მან მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის თეორიები და მოდელები მიუსადაგა საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე ტრანსფორმაციულ პროცესებს და შემოგვთავაზა საყურადღებო თეორიული და გამოყენებითი ხასიათის რეკონომიკები. გლობალიზაციის პროცესში საქართველოს ადაპტირებასთან დაკავშირებით, ავტორი სამართლიანად გამოყოფს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ტრანსფორმაციული პროცესების არაეთიკურად წარმართვა, ეკონომიკური ინტერესების შეუჯერებლობა, საზოგადოებრივი ურთიერთობების დაუბალანსებლობა, სოციალური სოლიდარობის მიუღწევლობა და ა.შ. ავტორისეული დასკვნა ასეთია: “კვაზიდემოკრატია აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას”. თანამედროვე გლობალიზაცია უალტერნატივოა და მას საქართველო გვერდს ვერ აუვლის, მაგრამ, ავტორის აზრით, საჭიროა ქვეყანამ შეინარჩუნოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა საკუთარი ეკონომიკის, კულტურის, ტრადიციების, ისტორიის განვითარების კვალობაზე, ეროვნული ტრადიციების საფუძველზე ააშენოს ევროპული ცივილიზაცია.

ავტორი ძირითად ყურადღებას ამახვილებს ჯ. კეინზის მულტიპლიკატორის თეორიასა და მ. ფრიდმენის მონეტარულ თეორიაზე. განსხვავებით მრავალი სხვა ქვეყნისაგან, საქართველომ კლასიკური ფორმით არ გამოიყენა ეკონომიკური ზრდის არც ერთი მსოფლიოში აპრობირებული მოდელი, რაშიც უნდა ვეძიოთ ქვეყნის ეკონომიკური წარუმატებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი – ასკენის ავტორი.

წინამდებარე ნაშრომი თანამედროვე ეკონომიკური თეორიის უდავოდ მნიშვნელოვანი შენაძენია, რომლის გაცნობაც, ვფიქრობთ, მკითხველს ახალი ცოდნით გაამდიდრებს.

*იაკობ მესხია*  
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,*  
*საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,*  
*საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა*  
*აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი*

## შესავალი

### (ეკონომიკური თეორია ახალი გამოწვევების წინაშე)

მსოფლიოში უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე და განსაკუთრებით ბოლო პერიოდში მიმდინარე ღრმა სისტემური ტრანსფორმაციული პროცესები, რაც უკავშირდება, ერთი მხრივ, ევოლუციური განვითარების გზით კერძო კაპიტალისტურ საკუთრებით ურთიერთობებზე დამყარებული „ველური კაპიტალიზმის“ გარდაქმნას საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებულ სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკად და მის ნიადაგზე აღმოცენებულ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას დღეს განვითარებულ, მაგრამ გასული საუკუნის 30-იან წლებში მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებში, ხოლო, მეორე მხრივ, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მსოფლიოს 26 ქვეყნისა და 400 მლნ მოსახლეობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში მომხდარ უდიდეს ცვლილებებს, ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ეკონომიკურ თეორიას, როგორც ეკონომიკური მეცნიერების საფუძველთა საფუძველსა და საწყისს, წინა პლანზე წამოსწევს მის მნიშვნელობას კაცობრიობის პროგრესში. ამასთან, თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მომცველი გლობალიზაცია<sup>1</sup>, თავისი პოზიტიური და ნეგატიური ეფექტებით, ახლებურ

---

<sup>1</sup> ასათიანი რ. გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ასპექტი. „ეკონომიკა“, თსუ შრომები. 2003, №3-4; ასათიანი რ. საქართველოს მდგრადი განვითარების ზოგიერთი ასპექტი გლობალიზაციის კონტექსტში. „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“. I საერთაშორისო კონფერენციის მასალები. 22-24 ოქტომბერი, 2008. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2008; Asatiani R. The Phenomenon of Globalization and its Influence on National Economics. “The Caucasus & Globalization”. Vol. 1(3), Sweden, 2007.

თეორიულ განზოგადებასა და მეთოდოლოგიურ ასპექტში გაანალიზებას მოითხოვს, რაც უთუოდ ეკონომიკური თეორიის, როგორც ეკონომიკური მეცნიერების დედაბოძის, პრეროგატივაა.<sup>2</sup> ზემოაღნიშნულთან ერთად, დღეს, **გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში**<sup>3</sup>, უაღრესად აქტუალური ხდება კრიზისების მიზეზების, მათი შემსწავლელი თეორიების კონცეპტუალური კვლევა, ეკონომიკური სკოლების წარმომადგენელთა შეხედულებების ამჟამად მსოფლიოში მიმდინარე პროცესების საფუძველზე გაანალიზება, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით ეკონომიკური მიმდინარეობების როლის განსაზღვრა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკასა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ განვითარებაში.

**მილტონ ფრიდმენისა** და, საერთოდ, „ჩიკაგოს სკოლის“ მონეტარულ თეორიაზე აგებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ეყრდნობოდა აშშ-ისა და სხვა მოწინავე ქვეყნების ეკონომიკა, სტაბილურობისა და ძღვრადი ეკონომიკური განვითარების გარანტად იყო აღიარებული. „ოქროს წლებად“ მონათლულ ამ პერიოდში აღზევებული

---

<sup>2</sup> **Asatiani R.** Globalization and Economic Theory. “The Caucasus and Globalization.” Vol. 2(1), Sweden, 2008.

<sup>3</sup> **ასათიანი რ.** გლობალური ფინანსური კრიზისი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოში. „სოციალური ეკონომიკა“, 2009, №6; **ასათიანი რ.** საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში. „ეკონომისტი“, 2009, №4; **არჩვაძე ი.** გლობალური ეკონომიკური კრიზისი – ნიშნები და ტენდენციები. „სოციალური ეკონომიკა“, 2009, №1; **იაკობიძე დ.** საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. თბ., „კომენტარი“, 2009; **მაღალაშვილი გ.** კრიზისი და განვითარება. „შრომები“. VIII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., გამოცემლობა „სიახლე“, 2010; **მესხია ი.** გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები. „ეკონომისტი“, 2009, №2; **Папава В.** Финансовый кризис и посткоммунистический капитализм. «МЭиМО», 2009, №8; **Григорьев Л., Салихов М.** Финансовый кризис – 2008: вхождение в мировую рецессию. «Вопросы экономики», 2008, №2; **Krugman P.** The Return of Depress on Economics and the Crisis of 2008. New York, w.w. Norton & Company, 2008.

მონეტარიზმი, არც მეტი და არც ნაკლები, ეკონომიკურ თეორიაში „აზრთა კონვერგენციის“ უმაღლესი გამოხატულების ნიშნად წარმოადგენდა და იგი ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების წარმატებულ მოდელოდ აღიქმებოდა. მაგრამ, მაშინ, როდესაც აშშ ეკონომიკური ქცევის „დიდ სტაბილურობას“ ზეიმობდა, ხოლო მილტონ ფრიდმენსა და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა ცნობილ წარმომადგენლებს (მაგალითად, რობერტ ლუკასს, ანა შვარცსა და ა.შ.) მიაჩნდათ, რომ „დეპრესიის პრევენციის ცენტრალური პრობლემა გადაჭრილი იყო“, კრიზისის დადგომის ნიშნები, განსაკუთრებით 2006 წლიდან, ნელ-ნელა იკვეთებოდა. ამ დროს, როგორც 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი **პოლ კრუგმანი** აღნიშნავს, ეკონომიკის დარგის პროფესიონალები თვლემდნენ.<sup>4</sup> მიუხედავად აშშ-ის ფედერალური სარეზერვო ბანკის მცდელობისა (რაზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ), გამოესწორებინა კეთილდღეობის გზიდან ეკონომიკის მნიშვნელოვანი გადახრები, ამერიკული ეკონომიკა აცდა სწორ გზას და „ლიანდაგიდან გადავიდა“.\* პოლ კრუგმანი დაასკვნის, რომ ჩიკაგოელი ეკონომისტების კომენტარები არის „ბნელი საუკუნის“ მაკროეკონომიკის პროდუქტი, სადაც რთულად მოპოვებული ცოდნა დავიწყებულ იქნა, ხოლო უცნაური განტოლებებით გამოპრანჭული ირაციონალური და არაპროგნოზირებადი თეორიები ძალიან შორს აღმოჩნდნენ რეალობისაგან.<sup>5</sup>

სამწუხაროდ, გლობალიზაციის გავლენით, ნეოორთოდოქსალურ თეორიაზე მორგებული მონეტარიზმის თანამედროვე მოდელი, ფრაგმენტაციისაკენ (დაყოფა, დანაწევრება) მნიშვნელოვანი გადახრებით (რასაც, სუბიექტურთან ერთად, ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა), საფუძვლად დაედო „დანარჩენი სამყაროს“ ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკურ პოლიტიკას. **ამ მხრივ, არც საქართველო იყო გამონაკ-**

---

<sup>4</sup> **კრუგმანი პ.** როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10, გვ. 80.

\* ამის შესახებ სერიოზული მსჯელობა იყო 2010 წლის დავოსის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე, სადაც ლიდერი ქვეყნების წარმომადგენლებმა მკაცრად გააკრიტიკეს მსოფლიოს ფულად-საკრედიტო სისტემაში შექმნილი რთული ვითარება.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 81.

**ლისი.** ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ განსახილველად სწორედ ეს თემა – „გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო“ – შევარჩიეთ, მაგრამ სანამ უშუალოდ საქართველოსთან მიმართებაში განვიხილავდეთ აღნიშნულ პრობლემას, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მცირეოდენი ისტორიული ექსკურსის გაკეთება.

## **გლობალიზაცია ღრმის მოთხოვნა და მსოფლიო პროცესის ბაზოპანილი**

გლობალიზაცია, ფრაგმენტაციის საწინააღმდეგო ტერმინად მოგვევლინა XX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც პირველად ამერიკელმა მეცნიერმა **თეოდორ ლევიტმა** იგი ცალკეული ბაზრების შერწყმის პროცესის ასახსნელად გამოიყენა<sup>6</sup>. თუ თავდაპირველად გლობალიზაცია წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინი იყო, სულ რამდენიმე წელიწადში ფართო მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. 1990 წელს ლონდონში გამოცემულ კრებულში – „გლობალიზაცია: შემეცნება და საზოგადოება“, ეს ტერმინი გამოიყენეს მსოფლიოს ქვეყნებისა და ხალხების, სხვადასხვა ცივილიზაციებისა და კულტურების ერთიანობის გამოსახატავად<sup>7</sup>. ამავე წელს, ფართო გაგებით, „გლობალიზაცია“ გამოიყენა იაპონელმა **კ. ომემ**<sup>8</sup>, ხოლო 1999 წელს დავოსში გამართული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მთავარი თემა სწორედ გლობალიზაცია იყო<sup>9</sup>.

**დღეს გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ა.შ. პროცესების უნიფიკაცია (ერთიან სისტემაში მოქცევა) აშშ-ისა და ჩრდილოატლანტიკური ბლოკის სხვა უმსხვილესი ქვეყნების მიერ შემუშავებული მოთხოვნების (ნორმების, ფასეულობების, კრიტერიუმებისა და ა.შ.) შესაბამისად.**

<sup>6</sup> **Lewitt T.** International Business, the Challenge of Global Competition. “Harvard Business Review”, McGraw-Hill, 2008, p.13.

<sup>7</sup> Globalization: Knowledge and Society. London, “Sage”, 1990.

<sup>8</sup> **Ohmae K.** The Borderless World: Power and Strategy in the Interlinked Economy. London, “Fontana”, 1990.

<sup>9</sup> <http://globalization.kof.ethz.ch/>



გლობალიზაციის ტერმინის წარმოშობას, ბუნებრივია, წინ უძღოდა თვით პროცესის დაწყება.

გლობალიზაცია, როგორც პროცესი, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოიკვეთა,\* როდესაც მსოფლიოს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში არსებითი ძვრები დაიწყო. საბოლოო ანგარიშით, სისტემურმა პროგრესულმა ცვლილებებმა, შეიძლება ითქვას, ტრაექტორია შეუცვალა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებასა და შესაძლებელი გახადა სხვადასხვა ქვეყანაში დაგროვილი პოტენციალის მეტ-ნაკლები ზომით გამოვლენა-რეალიზაცია, რამაც ხელი შეუწყო გლობალიზაციის დაჩქარებას.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე გლობალური პროცესების გაღრმავებამ დღის წესრიგში დააყენა გლობალიზაციის კომპლექსური მაჩვენებლის შექმნა. 2002 წელს შეიქმნა **გლობალიზაციის KOF-ინდექსი**. მონაცემები ძირითადად ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის, ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციის წლიურ ანგარიშებს, საერთაშორისო საფოსტო კავშირისა და საფოსტო სტატისტიკის საინფორმაციო მასალებს.

**გლობალიზაციის KOF-ინდექსის ზოგადი მაჩვენებლის** მიხედვით ლიდერობენ და პირველ ათეულში შედიან: ბელგია, ირლანდია, ნიდერლანდი, შვეიცარია, ავსტრია, შვედეთი, დანია, კანადა, ლუქსემბურგი და უნგრეთი. ამ მაჩვენებლით საქართველო 59,85%-ით 90-ე ადგილზეა.

ამ საყოველთაო ინდექსით, პროცენტული გამოხატულებით, ყოველწლიურად განისაზღვრება მსოფლიოს 158 ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გლობალიზაციის ხარისხი.<sup>10</sup>

**პოლიტიკური გლობალიზაცია** გამოითვლება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, ქვეყანაში საელჩოებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების რა-

---

\* თუმცა გლობალიზაციის წარმოშობის წანამძღვრები, ჯერ კიდევ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში ჩაისახა, როდესაც სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრებთა შორის სავაჭრო კავშირებმა მთელი პლანეტა მოიცვა.

<sup>10</sup> <http://globalization.kof.ethz.ch/>

ოდენობა, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მისიის წევრობა. ამ მაჩვენებლებით განისაზღვრება სამთავრობო პოლიტიკის გავრცელების ხარისხი. პოლიტიკურ გლობალიზაციაში, საერთაშორისო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი გაეროსა და სხვა სტრუქტურებს აკისრია.

**პოლიტიკური გლობალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით** პირველ ათეულში შედიან: საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ავსტრია, შვედეთი, ესპანეთი, შვეიცარია, კანადა, აშშ და პოლონეთი. ამ ქვეყნებში პოლიტიკური გლობალიზაციის KOF-ინდექსი 93,88%-სა და 89,03%-ს შორის ფიქსირდება. **საქართველო 46,08%-ით 138-ე ადგილზეა.**

**ეკონომიკური გლობალიზაცია**, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტმკ-ები) ასრულებენ<sup>11</sup>, განისაზღვრება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა საქონლის, მომსახურების, კაპიტალის საზღვარგარეთ გატანის მასშტაბები და საგარეო ვაჭრობაში ჩართულობის დონე, გახსნილობისა და ინტეგრირების ტენდენციების გაძლიერება, ინფორმაციის ნაკადების შორ მანძილზე გავრცელების ხარისხი, უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინების მოცულობა, საერთაშორისო ვაჭრობაში საბაჟო პოლიტიკის სიმკაცრის ხარისხი და საიმპორტო ბარიერები და ა.შ. ეკონომიკური გლობალიზაცია მრავალმხრივი პროცესია. იგი აძლიერებს ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირსა და სამეურნეო ინტერნაციონალიზაციას.

ეკონომიკური გლობალიზაციის მაჩვენებლით, რომელიც გამოხატავს მოცემული ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხს, პირველ ათეულში შედიან: სინგაპური, ლუქსემბურგი, ირლანდია, მალტა, ბელგია, ნიდერლანდი, ესტონეთი, უნგრეთი, ბაზრენი, შვედეთი. ამ ქვეყნებში ეკონომიკური გლობალიზაციის KOF-ინდექსი 96,67%-სა და 88,11%-ს შორის ფიქსირდება, ხოლო **საქართველო 69,43%-ით 51-ე ადგილზეა.**

**სოციალური გლობალიზაცია** განისაზღვრება საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დონით, საერთაშორისო სატელეფონო კა-

---

<sup>11</sup> **ჭითანავა ნ.** გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები. „შრომები“. VIII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, გვ. 91.

ვმირებითა და წერილებით, ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში უცხო-ელთა წილით, ყოველ 1000 კაცზე ინტერნეტით მომხმარებელთა რაოდენობით, წიგნებისა და გაზეთების ვაჭრობით მიღებული შემოსავლების წილით მთლიან შიგა პროდუქტში და ა.შ. იგი, კულტურის უნივერსალიზაციის საფუძველზე, ხელს უწყობს ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა ცხოვრების წესში თანამედროვე ცივილიზაციის ელემენტების დამკვიდრებას, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ქვეყანათა ცხოვრების წესის დაახლოებაში.

სოციალური გლობალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით პირველ ათეულშია: ლუქსემბურგი, შვეიცარია, ირლანდია, ანტიგუა და ბარბუდა, კვიპროსი, პუერტო რიკო, სინგაპური, ავსტრია, გრენადა და ბელგია. ამ ქვეყნებში სოციალური გლობალიზაციის KOF-ინდექსი 93,87%-სა და 88,12%-ს შორის ფარგლებშია. **საქართველოს ამ მაჩვენებლით 58,94%-ით 83-ე ადგილი უჭირავს.**

ისმის კითხვა: **ყოველივე ზემოაღნიშნულთან რა კავშირი აქვს ეკონომიკურ თეორიას?** გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებასა და გლობალური პროცესების წარმართვაში ცენტრალური ადგილი სწორედ ეკონომიკურ თეორიას უკავია. ეკონომიკური მიმდინარეობები და შესაბამისი მოდელები, შეიძლება ითქვას, განსაზღვრავენ მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში „თამაშის წესებს“.

საქმე ისაა, რომ ინდუსტრიულმა ეპოქამ, რომელიც კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის განმტკიცებასა და განვითარებას უკავშირდება, დასაბამი მისცა ხანგრძლივ ისტორიულ ციკლს – XVIII-XIX საუკუნეების მიჯნიდან XX საუკუნის 60-იან წლებამდე.

**ადამ სმითის** პერიოდიდან მოყოლებული **კლასიკურ-ლიბერალურმა ეკონომიკურმა თეორიამ არა მხოლოდ შექმნა წინაპირობები, არამედ საფუძველიც ჩაუყარა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის (რომელსაც მანამდე სპონტანური ხასიათი ჰქონდა) ფორმირებას.** 1776 წელს ადამ სმითის ნაშრომის – „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ – გამოსვლიდან იწყება არა მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიაც.

დასავლური ცივილიზაციის ინდუსტრიული განვითარების პირველ ეტაპზე გაბატონებული სმითისეული კონცეფცია სახელმ-

წიფოს განიხილავდა როგორც „ღამის დარაჯს“, სახელმწიფო საქმიანობას კი არამწარმოებლურ შრომად მიიჩნევდა. ამ პერიოდში ყურადღების ცენტრში იყო ცალკეული ფორმის დანახარჯების მი-  
ნიმიზაციისა და მოვების მაქსიმიზაციის პრობლემა.

„უხილავი ხელის“ თეორიაზე აგებული კლასიკური სკოლის ლიბერალური თეორია თითქმის 160 წელი საფუძვლად ედო კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას, ვიდრე 1936 წელს **ჯონ მენარდ კეინზმა** არ გამოსცა თავისი ცნობილი ნაშრომი – „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“, რომელსაც პ. კრუგმანი (და არა მხოლოდ იგი – რ.ა.) XX საუკუნის ეკონომიკური მეცნიერების შედეგად მიიჩნევს. კეინზის ეს ნაშრომი ახალ ეტაპად არის აღიარებული ეკონომიკური აზრის ისტორიაში. მაკროეკონომიკური თეორიის შექმნით, კეინზმა რევოლუციური გადატრიალება მოახდინა ეკონომიკურ აზროვნებაში და ისტორიაში შევიდა „კეინზიანური რევოლუციის“ სახელწოდებით. მან უარყო ეკონომიკაში გაბატონებული მიკროეკონომიკური მიდგომა და ცენტრალური ადგილი მაკროეკონომიკურ თეორიასა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას დაუთმო. ჩამოყალიბდა ახალი ეკონომიკური მიმდინარეობა კეინზიანელობის სახით, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. შემთხვევითი არ არის, რომ **აღამ სმითი ითვლება XVIII საუკუნის უდიდეს ეკონომისტად, კარლ მარქსი – XIX საუკუნისა, ხოლო ჯონ მენარდ კეინზს ეკუთვნის XX საუკუნის პალმა.**

„კეინზიანურმა რევოლუციამ“ ხელი შეუწყო კაპიტალიზმის გადაზრდას ახალ თვისებრიობაში. ჩამოყალიბდა საბაზრო რეგულირებადი ეკონომიკა, სადაც ბაზარი სრულიად ახალ ამპლუაში წარმოსდგა. შორეულ წარსულში აღმოცენებულმა ბაზარმა, რომელმაც ხანგრძლივი განვითარების გზა განვლო, სრულიად სხვა შინაარსი შეიძინა. იგი აღიარებულ იქნა ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვრად. კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ბაზარი პირველად მეურნეობის ეფექტიან მექანიზმად ჩამოყალიბდა. **ახალმა საბაზრო ურთიერთობებმა, საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებით, შეიძლება ითქვას, „შტამპი მოხსნა“ „ველურ კაპიტალიზმს“ და გზა გაუხსნა საკუთრების დემოკრატიზაციის პრო-**

ცეს, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი გლობალიზაციის წარმოშობაში. აღნიშნული პროცესის დაწყებამ დააჩქარა 50-იან წლებში დეკოლონიზაციის ფართოდ გაშლა. ამასთან, ამავე პერიოდში დაწყებული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საფუძველზე მსოფლიოში მიმდინარე ღრმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებას ახალი თვისებრიობა შესძინა.

დაიწყო მომსახურების მწარმოებელი დარგების სწრაფი განვითარება. 50-იან წლებში ჩამოყალიბდა ცნობილი ეკონომისტის კოლინ კლარკის ნაშრომსა – „ეკონომიკური პროგრესის პირობა“ – და სოციოლოგ ჟან ფურასტიეს ნაშრომში – „XX საუკუნის უდიდესი იმედი“ – პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიის მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური დებულებები – მთელი საზოგადოებრივი წარმოების (ეროვნული ეკონომიკის) პირველად (აგრარული მეურნეობა), მეორეულ (ინდუსტრია) და მესამეულ (მომსახურების სფერო) სექტორებად დაყოფის შესახებ. XX საუკუნის 60-იან წლებში შეიქმნა ინდუსტრიული საზოგადოებიდან პოსტინდუსტრიულზე გადასვლის თეორიული საფუძვლები, რომლის მნიშვნელოვანი მახასიათებელს წარმოადგენდა მომსახურების სექტორის წილის უპირატესი ზრდა დანარჩენ ორ სექტორთან შედარებით, როგორც დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობაში, ისე მთლიანი შიგა პროდუქტის წარმოებაში. მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ეს გადასვლა იქნებოდა არა მიღწეულიდან უკან დახევა, არამედ, პირიქით, უფრო მაღალი სოციალური წესრიგის დამყარება.

ამ მნიშვნელოვანმა თეორიულმა პარადიგმებმა პრაქტიკული განხორციელება და ეკონომიკაში მიმდინარე პოზიტიურმა ტენდენციებმა რეალური ასახვა პოვა გაეროს საერთაშორისო სტანდარტულ დარგობრივ კლასიფიკაციასა (სსღპ) და ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში (მას).<sup>12</sup> თუ სსღპ-ის I ვარიანტში (1958) მომსახურების დარგებს მოკრძალებული ადგილი ეკავა, მის II ვარიანტში (1968) გაცილებით ფართოდ იქნა წარმოდგენილი „სერვისული“ წარმოება (მომსახურების ეკონომიკა), ხოლო III ვარიანტსა (1989) და

<sup>12</sup> ასათიანი რ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, №6.

2006 წელს მიღებულ და ახლაც მოქმედ IV ვარიანტში მომსახურების სექტორს უდიდესი ადგილი უჭირავს. თუ სსსკ-ის III ვარიანტის 17 განყოფილებიდან მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფერო (რეალური სექტორი) 5 განყოფილებით (1. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და ნადირობა; 2. თევზჭერა; 3. სამთომპოვებითი მრეწველობა; 4. გადამმუშავებელი მრეწველობა; 5. მშენებლობა) იყო წარმოდგენილი, IV ვარიანტში იგი 4 განყოფილებას მოიცავს, მთელი აგრარული სექტორის ერთ განყოფილებად წარმოდგენის საფუძველზე. დანარჩენი განყოფილებები მომსახურების დივერსიფიცირების შედეგად ჩამოყალიბებული მომსახურების დარგებია.<sup>13</sup>

ასეთი დაყოფის აუცილებლობა კიდევ უფრო განამტკიცა გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში განვითარებული ქვეყნების საზოგადოებრივ წარმოებასა და პირადი მოხმარების სტრუქტურაში სხვადასხვა სახის მომსახურების ხვედრითი წონის არსებითმა გადიდებამ.

მომსახურების სფერომ ყველა ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლით, მათ შორის დასაქმებულთა რიცხოვნობით, წინ გაუსწრო მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს და გადაიქცა ეკონომიკის უმსხვილეს სექტორად. ამ პროცესმა მიიღო ეკონომიკის „სერვიზაციის“ სახელწოდება. მაგალითად, თუ 1955-1970 წლებში იაპონიის მთლიანი შიგა პროდუქტის სტრუქტურაში მომსახურების სფეროს წილი მხოლოდ 0,4%-ით გადიდა, 1970-1985 წლებში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 10,9%-ს მიაღწია, ხოლო მომსახურების სფეროში დასაქმებულთა წილი 39,6-დან 55,1%-მდე გაიზარდა, 1986 წლისათვის კი უკვე 59%-მდე ავიდა.<sup>14</sup> ამავე წელს აშშ-ში ეკონომიკის მესამეულ სექტორში დასაქმებულთა რი-

---

<sup>13</sup> მომსახურების ტიპოლოგია საბაზრო ეკონომიკაში უფრო დეტალურად იხ. **ასათიანი რ.** მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1993, გვ. 43-54.

<sup>14</sup> Япония: смена модели экономического роста. Отв. ред. **Лебедева И.П., Кравцевич А.И.** М., „Наука“, 1990, с. 141; **ასათიანი რ.** ეკონომიკის სერვიზაცია – საზოგადოების პოსტინდუსტრიული განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელი. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“. ეკონომიკის სერია, I ტომი, 1993, №2, გვ. 69-70.

ცხოვნობამ 72,8% შეადგინა, ხოლო 1990 წლისათვის – 77%.<sup>15</sup>

საქმე ისაა, რომ კომპიუტერულმა ავტომატიზაციამ, უნივერსალური ეგმ-ებისა და ახალი თაობის პერსონალური კომპიუტერების დანერგვის საფუძველზე ინფორმაციის სწრაფად გადაუშავებამ და, საერთოდ, ინფორმატიზაციის განვითარებამ, ამასთან, სამრეწველო წარმოებაში ერთეული პროდუქციის ენერგო- და მასალატევადობის მნიშვნელოვანმა შემცირებამ (რაც რესურსდამზოგველი ეკონომიკის სწრაფი განვითარების მაჩვენებელია), ეკონომიკის რეალურ სექტორს, განსაკუთრებით სამრეწველო წარმოებას, იერსახე შეუცვალა. მასალატევადი სანედლეულო ტიპის დარგების (შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიურის, ნავთობ-ქიმიურის და ა.შ.) ადგილი მეცნიერებატევადმა დარგებმა დაიკავა, რომელთა პროდუქციასა და უახლეს ტექნოლოგიებს (სამრეწველო ელექტრონიკას, რობოტოტექნიკას, ლაზერულ ტექნიკას, საამწყობო ავტომატურ ხაზებს, ბიოტექნოლოგიას, ნახევარგამტარულ ტექნიკას, მიკროელექტრონიკასა და სხვ.) არსებითი ცვლილებები შეაქვს წარმოების ციკლში. ამას ადასტურებს, მაგალითად, შავ მეტალურგიაში ზეგამძლე ფოლადის წარმოება, ფხვნილის მეტალურგიის განვითარება და ა.შ.

ეკონომიკის რეალურ სექტორზე უშუალო გავლენა მოახდინა და მისი ეკონომიკური საქმიანობიდან გამოდინარე, მასში მეტნაკლებად აისახა დივერსიფიცირებული სპექტრით წარმოდგენილი მომსახურების სასარგებლო ეფექტი. ცივილიზებულ სამყაროში მომსახურების სფერომ თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა და მატერიალურ-ნივთობრივი წარმოებასთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირურთიერთობაში აღმოჩნდა.

საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი **სოციალურ ინფრასტრუქტურას** (ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საბანკო-კომუნალური მეურნეობა, დასვენების ორგანიზაციის სფერო, საზოგადოებრივი კვება და სხვ.) დაეკისრა. ამის პარალელურად საწარმოო მოხმარების სტრუქტურაში საგრძნობლად იმატა **წარმოებრივი ინფრასტრუქტურის** (საინფორმაციო მომსახურების, მეცნიერების, საქმიანი მომსახურების – ლი-

<sup>15</sup> **Портной М.** Экономика США сегодня. “Экономист”, 1992, №3, с. 11.

ზინგი, ინჟინირინგი, მარკეტინგი და ა.შ., სასაწყობო მეურნეობის, კავშირგაბმულობის, ელექტრო-, გაზ- და წყალმომარაგების, სატვირთო ტრანსპორტის, ვაჭრობისა და სხვ.) წილმა. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებამ განაპირობა **ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის** (სახელმწიფო აპარატი, საფინანსო-საკრედიტო სფერო, დაზღვევა და სხვ.) განვითარება. ტექნოლოგიურმა ბუმმა აუცილებელი გახადა **ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის** (გარემოს მაკონტროლირებელი სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები, საზოგადოების განვითარების ეკოლოგიური პირობების უზრუნველყოფის ორგანიზაციული სტრუქტურები და სხვ.) განვითარებაც. საბაზრო ურთიერთობების რთულმა სისტემამ მოითხოვა **საბაზრო ინფრასტრუქტურის** (ბირჟების, ბანკების, სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიებისა და ა.შ) სწრაფი განვითარება. ბირჟის სახით ფართოდ ჩამოყალიბდა ორგანიზებული ბაზრები, სახელდობრ, მასობრივი წარმოების საქონლის (საქონლის ბირჟა), ფასიანი ქაღალდების (საფონდო ბირჟა), ვალუტის (ვალუტის ბირჟა), შრომის (შრომის ბირჟა) და ა.შ.

მომსახურების მწარმოებელი დარგების ინტეგრირების საფუძველზე შექმნილი ინფრასტრუქტურა საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების მნიშვნელოვანი მახასიათებელი გახდა.

წარმოების პროცესების კომპლექსურმა ავტომატიზაციამ, ენერჯის ახალი წყაროებისა და ბიოტექნოლოგიის გამოყენებამ, მიკროელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციური ტექნიკის მიღწევათა ათვისებამ და ა.შ. **თვისებრივად ახალი ეტაპი შექმნა ეკონომიკურ განვითარებაში, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გენერალური განვითარების სტრატეგიაში.** არნახულმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა გამოიწვია კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია ახალ საზოგადოებაში, რაც აისახა კიდევ პოსტინდუსტრიალიზაციის პროცესში, ეკონომიკური ზრდის ტემპების ამალღებასა და ეკონომიკის რეალური სექტორის სწრაფ განვითარებაში. ამასთან დაკავშირებით, დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია **დანიელ ბელის** პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია. მისი აზრით, საზოგადოებამ თავის განვითარებაში განვლო შემდეგი სტადიები: **სასოფლო-სამეურნეო ცივილიზაცია** (ეს იყო პირველი ტალღა, როდესაც მონადირეთა საზოგადოება შეცვალა აგრარულმა საზოგა-



დობამ), **ინდუსტრიული ერა** (ეს იყო მეორე ტალღა, როდესაც აგრარული საზოგადოება შეცვალა ინდუსტრიულმა საზოგადოებამ) და პოსტინდუსტრიული ერა (ეს არის მესამე ტალღა, როდესაც წამყვან როლს მომსახურების სექტორი ასრულებს).<sup>16</sup>

სწორედ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან **ინდუსტრიული საზოგადოების გადაზრდამ პოსტინდუსტრიულში** ახალი ბიძგი მისცა მსოფლიო განვითარებას და დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი. **კაცობრიობის განვითარების ამ თვისებრივ ნახტომში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა.**

აღსანიშნავია ისიც, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციამ (რაც უკავშირდება მცურავი სავალუტო კურსების რეჟიმის შექმნას), ამასთან, ტარიფებისა და ფასების შესახებ ურუგვავის გენერალურმა შეთანხმებამ ხელი შეუწყო მსოფლიო სავაჭრო სისტემის განხილვას, მსოფლიო ვაჭრობის მკვეთრ ზრდასა და გლობალური პროცესების გაღრმავებას.

ამ გარემოებებმა დასაბამი მისცა საზოგადოებრივ გარდაქმნებს ახალ ამპლუაში და **დადებითი გავლენა მოახდინა თანამედროვე საზოგადოების ფორმირებაზე, ახალ სოციუმზე**, რამაც ხელი შეუწყო ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავებას. სოციალურ სფეროში აქტიური როლის შესრულებით, სახელმწიფომ **„კეთილდღეობის სახელმწიფოს“** ნიშნები შეიძინა. განვითარებულმა სამყარომ მიიღო ახალი დროის გამოწვევა. საფუძველი ჩაეყარა **სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას**. კაცობრიობის განვითარების განვლილ პერიოდთან შედარებით, ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი და ახალი სიტყვა უფრო მაღალი სოციალური და, ამავე დროს, **ახალი მსოფლიო წესრიგის** დამყარების თვალსაზრისით. **„კეთილდღეობის სახელმწიფო“ პოლიტიკის გატარებით, წინა პლანზე წამოიწია საზოგადოების სოციალური დაცვის ფუნქციამ, რის გარეშეც შეუძლებელია ბაზრის პრინციპების რეალიზაცია და იგი ეკონომიკის სტაბილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად აღიარებული.**

---

<sup>16</sup> Белл Д. Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. М., "Academia", 1999.

გლობალიზაციას ახალი იმპულსი შესძინა 90-იან წლებში ელვისებურად განვითარებულმა კატაკლიზმებმა, რაც სწრაფად დასრულდა მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლითა და „კომუნისტური სოციალიზმის“ ხანის დასრულებით. ეს დროის მოთხოვნა იყო და მსოფლიო პროცესის გამოძახილიც.

**დღეს გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა, რომელიც, შეიძლება ითქვას, „განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკის შინაარსს“.**<sup>17</sup> საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გლობალურ პროცესებზეა დამოკიდებული.\* იგი რადიკალურად ცვლის თანამედროვე საზოგადოების არა მხოლოდ ცხოვრების შინაარსს, არამედ ეკონომიკის ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებსაც განაპირობებს.

ამიტომაცაა, რომ ამჟამად **განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა**, სტრუქტურული თვალსაზრისით, დიამეტრალურად განსხვავდება წინა ეპოქების ეკონომიკისაგან, როდესაც დომინირებული მდგომარეობა ეკავა ჯერ სოფლის მეურნეობას, ხოლო შემდეგ – მრეწველობას. მაგალითად, თუ 1820 წელს აშშ-ის აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო მომუშავეთა 70%, ამ დარგის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე, 2007 წლის მონაცემებით, აშშ-ის აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო მხოლოდ 1,0%, ინდუსტრიაში – 19,2%, ხოლო მომსახურების სფეროში – 79,8%. იაპონიაში ეს თანაფარდობა, შესაბამისად, ასეთია: 4,4%, 27,9% და 66,4%; გერმანიაში – 2,4%, 29,7%, 67,8%; საფრანგეთში – 3,8%, 24,3%, 71,8%; ავსტრალიაში – 3,6%, 21,1%, 75,0%; ლუქსემბურგში – 2,2%, 17,2%, 80,6%; ევროკავშირში – 5,6%, 27,7%, 66,7% და ა.შ.<sup>18</sup>

**არასაკმაოდ განვითარებული (ახალინდუსტრიული ქვეყნების) ეკონომიკისათვის** არსებობს სხვადასხვა მიდგომა, რომელთა შორის აღსანიშნავია: ა) სამრეწველო განვითარება და იმპორტის შენაცვლე-

<sup>17</sup> **დავითაშვილი ზ.** ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ., „მეცნიერება“, 2003, გვ. 189.

\* პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან კავშირურთიერთობის განმტკიცების მიზნით, 1997 წელს ნატოს სისტემაში ჩამოყალიბდა „**ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო**“, რომელმაც შეცვალა „ჩრდილოატლანტიკური პარტნიორობის საბჭო“.

<sup>18</sup> [http://www.cia.gov/library/publications/the-world\\_factbook/geas](http://www.cia.gov/library/publications/the-world_factbook/geas)

ბა შიგა წარმოებით; ბ) სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერა და ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში, საექსპორტო პროდუქციის წარმოების უპირატესი განვითარების საფუძველზე უცხოური ვალუტის მიღების მიზნით, ექსპორტის გაზრდა; გ) ქალაქისა და სასოფლო რაიონების ბალანსირებული განვითარება და ა.შ. ახალინდუსტრიულ ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, მაღალია აგრარულ სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წონა. მაგალითად, 2007 წლის მონაცემებით ბრაზილიაში იგი შეადგენდა 20%-ს.<sup>19</sup>

რაც შეეხება **განვითარებად, „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს**, სადაც ინდუსტრიალიზაციის დონე დაბალია, მათთან მიმართებაში განვითარების გენერალური სტრატეგიისადმი კიდევ უფრო განსხვავებული მიდგომაა. I მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან 60-იანი წლების დასაწყისამდე ეკონომიკურ ლიტერატურაში გაბატონებული იყო შეხედულება იმის შესახებ, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის ყველაზე მისაღები სამრეწველო წარმოების უპირატესი განვითარების სტრატეგიაა. მრავალმა განვითარებადმა ქვეყანამ გაიზიარა ეს შეხედულება და შეიმუშავა კიდევ შესაბამისი სტრატეგია. ზოგიერთ ქვეყანაში იმედისმომცემი შედეგებიც კი იქნა მიღწეული (განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც უპირატესობას ექსპორტის განვითარებას ანიჭებდნენ, იმპორტ შემცველი წარმოების განვითარებასთან შედარებით), მაგრამ ქვეყნების უმრავლესობამ სავალალო შედეგები მიიღო, რაც ძირითადად გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით:

1. ინვესტიციებთან დაკავშირებული სირთულეები. მრეწველობის პრიორიტეტული განვითარება საკმაოდ დიდ ინვესტიციებს მოითხოვდა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა არაჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის გამო თითქმის შეუძლებელი იყო, ადგილობრივი საინვესტიციო რესურსები კი, ჯერ ერთი, მცირე ოდენობის იყო და მეორეც, მათი გადასროლა მრეწველობაში ხდებოდა სოფლის მეურნეობის ხარჯზე და მის საზიანოდ, რაც ქვეყანაში მწვავე სასურსათო პრობლემებს წარმოშობდა;

2. ადგილობრივმა მრეწველობამ ნაკლებგანვითარებული ტექნოლოგიებისა და დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალის გამო, ვერ

<sup>19</sup> [http://www.cia.gov/library/publications/the-world\\_factbook/geas](http://www.cia.gov/library/publications/the-world_factbook/geas)

შედლო იმპორტისადმი კონკურენციის გაწევა;

3. შიდა ბაზრის სივიწროვისა და დაბალი მოთხოვნის გამო, ეს ქვეყნები ვერ ახერხებდნენ რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას.

ამ ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობამ ვერ შეძლო საგადასახდლო ბალანსის არსებითი გაუმჯობესება, ამასთან, იმპორტის სტრუქტურაც შეიცვალა. მზა სამომხმარებლო საქონლის ნაცვლად მასში მეტწილად სჭარბობდა მოწყობილობები, ნედლეული, დანადგარების ცალკეული ნაწილები და ა.შ. ამიტომ **ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა კიდევ უფრო შეიზღუდა, ხოლო შიდაეკონომიკური პრობლემები გამწვავდა. სახელდობრ, სწრაფი ტემპით იზრდებოდა სოფლიდან ქალაქში მიგრაცია და, შესაბამისად, უმუშევრობა, რასაც მოჰყვა პოლიტიკური პროცესების გამწვავება.**

ამიტომ განვითარებადმა ქვეყნებმა ბოლო პერიოდში შეცვალეს თავიანთი ეკონომიკური განვითარების კურსი და უპირატესობა სოფლის მეურნეობას მიანიჭეს. დღეს მსოფლიოში იგი აღიარებულია სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის დომინირებულ სექტორად. განვითარების სტრატეგიების უმრავლესობაშიც უპირატესობა სწორედ აგრარულ სექტორს აქვს მინიჭებული. ამ ტენდენციას ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს. მაგალითად, 2007 წლის მონაცემებით, ნიგერიის აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო მომუშავეთა 70,0%, ინდუსტრიაში – 10,0%, ხოლო მომსახურების სფეროში – 20,0%; მოზამბიკში, შესაბამისად, 81,0%, 6,0%, 13,0%; ლიბერიაში – 70,0%, 8,0%, 22,0%; სუდანში 80,0%, 7,0%, 13,0% და ა.შ. შედარებით „შერბილებულია“ ეს თანაფარდობა თურქეთში – 29,5%, 24,7%, 45,8%.

რაც შეეხება საქართველოს, 2006 წლის ოფიციალური მონაცემებით, ეს თანაფარდობა ასეთია: აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო მომუშავეთა 55,6%, ინდუსტრიაში – 8,9%, ხოლო მომსახურების სფეროში – 35,5%; შედარებისთვის, სომხეთში – 46,2%, 15,6%, 38,2%; აზერბაიჯანში – 39,3%, 12,1%, 48,6%.<sup>20</sup>

ასეთია დღეს მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის ლოგიკა,

---

<sup>20</sup> [http://www.cia.gov/library/publications/the-world\\_factbook/geas](http://www.cia.gov/library/publications/the-world_factbook/geas)

განვითარების გენერალური კურსი, რაც სამყაროს კიდევ უფრო დიფერენცირებულსა და კონტრასტულს ხდის. ერთი რამ კი ცხადია: **დღეს მსოფლიოში არ არსებობს წინააღმდეგობა მაღალტექნოლოგიურ მომსახურებასა და მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიას შორის. წინააღმდეგობებს მხოლოდ მოძველებული ტექნოლოგიები და ნაკლებკონკურენტუნარიანი პროდუქცია განაპირობებს**, რაც სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, მათი ხვედრია. ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას, მრავალჯერ გაზომვასა და ერთხელ გაჭრას მოითხოვს. საქართველოც დღეს ამ დილემის წინაშე აღმოჩნდა.

## **გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი**

თანამედროვე პირობებში საზოგადოებაში გლობალიზაციას უფრო ნეგატიური დატვირთვა აქვს, ვიდრე პოზიტიური. არ შეიძლება გლობალიზაციის ერთმნიშვნელოვანი შეფასება – მხოლოდ პოზიტიური, ან მხოლოდ ნეგატიური. იგი ორივეს მოიცავს. ამასთან, არც გლობალიზაციისგან გვერდზე გადავსა შეიძლება. ეს ქვეყნის იზოლაციაში ყოფნას ნიშნავს.

გლობალიზაცია მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია **ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების** ჩამოყალიბების პროცესებთან. იგი არა მხოლოდ აახლოებს ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ურთიერთდამოკიდებულსაც ხდის. აქედან გამომდინარე, გლობალიზაცია აჩქარებს ცალკეულ ქვეყნებში ღია საზოგადოებების<sup>21</sup> ჩამოყალიბებას და ანგრევს ჩაკეტილ, ტოტალიტარულ რე-

---

<sup>21</sup> ტერმინი „ღია საზოგადოება“ პირველად გამოიყენა ფრანგმა ფილოსოფოსმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა **ანრი ბერგსონმა** წიგნში – „რელიგიისა და მორალის ორი წყარო“ (1932). ღია საზოგადოების ჩამოყალიბების იდეა შემდეგ განავითარა ცნობილმა ავსტრო-ინგლისელმა ფილოსოფოსმა **კარლ პოპერმა** წიგნში – „ღია საზოგადოება და მისი მტრები“ (1966). ანრი ბერგსონი ცნობდა ორი ტიპის საზოგადოებას და, შესაბამისად, ორი ტიპის მორალს: „ჩაკეტილსა“ და „ღიას“. მისი აზრით, პირველი აკმაყოფილებს სოციალური ინსტიტუტის მოთხოვნილებებს და მიზნად ისახავს მოღვმის გადარჩენას, რომლის პირობებშიც პიროვნება არის კო-

ქიმებსა და ეკონომიკებს. იგი ხელს უწყობს პარტნიორული ურთიერთობების წინა პლანზე წამოწევას, მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მეცნიერების მიღწევების მოკლე ვადაში დანერგვას, რესურსდამზოგველი და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას, ინტელექტუალური კაპიტალის წარმოჩენას, ინტერნეტული ქსელისა და, საერთოდ, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, განსაკუთრებით, ფინანსური კაპიტალის მობილურობის ზრდასა და ა.შ.

თუ ინდუსტრიულ საზოგადოებაში განვითარების უმაღლეს კრიტერიუმს მატერიალური და ფინანსური კაპიტალის დაგროვება წარმოადგენდა, პოსტინდუსტრიულ სტადიაზე წინა პლანზე ცოდნის დაგროვებამ გადმოინაცვლა. **XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს.** ეს მოდელი ეფუძნება ინოვაციურ ეკონომიკას, რომელშიც უპირველეს როლს ინტელექტუალური კაპიტალი, ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები ასრულებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბაზარი კონკურენციის გარეშე ფიქციაა. ამასთან, უკანასკნელ პერიოდში კონკურენცია გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გლობალური მასშტაბები შეიძინა. ცნობილია, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, როგორც განვითარების უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი, განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში. ისიც ცნობილია, რომ ერთ ქვეყანას არ შეუძლია მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა ეკონომიკის ყველა დარგში, ან რომელიმე (აგრარული, ინდუსტრიული თუ მომსახურების) სექტორის უმეტეს დარგებში. ქვეყნები წარმატებას აღწევენ მხოლოდ კონკურენტულ დარგებში. ქვეყანა რომ კონკურენტუნარიანი იყოს, მან თავისი პროდუ-

---

ლექტივის მსხვერპლი, მეორე კი უკავშირდება ზნეობრივ ფასეულობებს, რომელიც მოდემის გადარჩენის, მისი შენარჩუნების ინტერესებზე მალაა. კარლ პოპერმა „ღია“, „ჰუმანური“ საზოგადოება დაუპირისპირა „ჩაკეტილ“, „ოტოტალიტარულ“ საზოგადოებას. ამ უკანასკნელს, ანტიკომუნისტური პოზიციებიდან, იგი მიაკუთვნებდა სოციალისტურ საზოგადოებას (**Конфорт М. Открытая философия и открытое общество. Перевод с английского. М., „Наука“, 1972).**

ქცია უნდა გაყიდოს საზღვარგარეთ საერთაშორისო საბაზრო ქსელის მეშვეობით. ეს არის დიდი სათამაშო ველი, რომელიც თავისებურ კომპასს წარმოადგენს თითოეული ქვეყნისათვის – რა გზას დაადგეს, რომელი დარგები განავითაროს, რა უნდა იყოს მისი ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია.

უახლოეს წარსულში ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განსაზღვრავდნენ ისეთი პარამეტრებით, როგორცაა მდიდარი ბუნებრივი რესურსები, ვალუტის სიმყარე, იაფი სამუშაო ძალის სიჭარბე, ბიუჯეტის მდგომარეობა, დაბალი საპროცენტო განაკვეთი, მენეჯმენტის განვითარების დონე და ა.შ. თუმცა ამჟამად ეს ფასეულობები, მნიშვნელოვან, მაგრამ არა მთავარ გავლენას ახდენენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე. მსოფლიო პრაქტიკამ არ დაადასტურა ასეთი მიდგომის უტყუარობა, ამ მოსაზრებათა ჭეშმარიტება. ასე რომ იყოს, მაშინ რით შეიძლება აიხსნას იაპონიის ან სამხრეთ კორეის წარმატებები, რომლებიც ბუნებრივი რესურსების მწვავე დეფიციტს განიცდიან, ან ბუნებრივი რესურსებით მდიდარი რუსეთის წარუმატებლობა? ან კიდევ, გერმანია, შვეიცარია და შვედეთი განვითარდა სამუშაო ძალის სიმცირის (შესაბამისად, მაღალი ხელფასების) პირობებში, ხოლო აშშ-ში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში ცხოვრების დონე სწრაფად იზრდებოდა ბიუჯეტის დეფიციტის მიუხედავად.

ის გარემოება, რომ XXI საუკუნე აღიარებულია ინოვაციების, ცოდნის, ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნედ, მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძვლებს. დღეს აქცენტი კეთდება ისეთ ფასეულობებზე, როგორცაა ხარისხი, ნოუ-ჰაუ, ბაზრისადმი ახლებური მიდგომა, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა და ა.შ.

ისმება კითხვა: დღეს როგორ ყალიბდება ზოგიერთ ქვეყანაში ისეთი ბიზნეს-გარემო, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს სწრაფად დანერგონ სიახლეები და უფრო განვითარდნენ, ვიდრე სხვა ქვეყნების კომპანიები? საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომპანიებმა და, აქედან გამომდინარე, ქვეყნებმა წარმატებას მსოფლიო ბაზრებზე ერთმანეთისაგან განსხვავებული სტრატეგიებით მიაღწიეს. დღეს ქვეყნები კონკურენტულ უპირატესობას ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების გზით აღწევენ. ისინი აფუძნებენ ახალ სტანდარტებს, ინვესტიციებს დებენ ცოდნის განახლე-

ბაში. დღეს განვითარებული ქვეყნების წარმოების მატების 75-დან 100%-მდე სწორედ ინოვაციების გამოყენებით მიიღწევა.<sup>22</sup>

ამიტომ დღეს **საერთაშორისო ვაჭრობაში შეფარდებითი უპირატესობის თეორია თანდათან ადგილს უთმობს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის თეორიას.** ეს ახალი თეორია გასცდა წარმოების ხარჯების ანალიზს და აქცენტს ისეთ ფასეულობებზე აკეთებს, როგორცაა ხარისხი, ნოუ-ჰაუ, ბაზრისადმი ახლებური მიდგომა, ახალი დიზაინი, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა და ა.შ. კონკურენციის გლობალიზაცია კომპანიებისაგან მოითხოვს ახლებურ აზროვნებას. ამჟამად საინფორმაციო ტექნოლოგიებში მომხდარმა რევოლუციამ და ტრანსპორტის სფეროში განხორციელებულმა კოლოსალურმა პროგრესმა შეამცირა წარმოების ხარჯები. ამიტომ ასეთი ტრანსფორმაციის პირობებში შეიცვალა თავად **წარმოების მასშტაბის ეფექტიც.**

გლობალიზაცია ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუახანების იდეის – თავისუფალი ვაჭრობის რეალიზაციას ახდენს. ტრანსნაციონალური კომპანიები და კაპიტალის მსოფლიო ბაზრები ათავისუფლებენ ბიზნესს პოლიტიკური შეზღუდვებისაგან, რითაც სულ უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებენ ბაზარს. ამასთან, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ბიზნეს-საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაც. მმართველობის ავტოკრატიული ფორმიდან რიგმა ქვეყნებმა დემოკრატიული სკენ აიღეს გეზი. დღეს დემოკრატია უნივერსალურ იდეოლოგიადაა აღიარებული. ამიტომ არადემოკრატიული რეჟიმები ქრონიკული ეკონომიკური ჩამორჩენილობის მაჩვენებლად ითვლება.

ბოლო პერიოდში არა მხოლოდ პოსტინდუსტრიულ, არამედ მრავალ ახალინდუსტრიულ ქვეყანაშიც მეცნიერება განიხილება უმნიშვნელოვანეს ნაციონალურ პრიორიტეტად. ამ ქვეყნებმა თითქმის 2-ჯერ გაზარდეს თავიანთი ინოვაციური პოტენციალი და უახლოვდებიან ევროპული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა ჩინეთშიც. ინოვაციური ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით უდიდეს წარმატებას მიაღწიეს ევროკავშირის ქვეყნებმა. მაგალითად, ირლანდია ჩამორჩენილი ქვეყნიდან იქცა ინოვაციური კაპიტალის დაბანდებისათვის ერთ-ერთ მიმზიდველ

<sup>22</sup> <http://www.chelt.ru2001/12/uzbashianz-12.html>



ქვეყანად, რაც დაეტყო კიდევ მის განვითარებას.

ინოვაციური პროცესების სტიმულირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ვენჩურული დაფინანსების ინსტიტუტები გახდა. ვენჩურული კაპიტალის ფორმირებაში მონაწილეობას იღებენ ბანკები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ.

ამჟამად მსოფლიოში მაღალტექნოლოგიური წარმოებით პირველ ათეულში შედიან ფინეთი, აშშ, შვედეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა, ნიდერლანდი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია და სინგაპური. მათ მოჰყვება ჩინეთი. რაც შეეხება რუსეთს, მას მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე მხოლოდ 1%-მდე უჭირავს.

**საქართველო, ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის (ტექნიკურ მიღწევათა ინდექსის) მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია მოქცეული.** რა თქმა უნდა, საქართველოში, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, უნდა განვითარდეს აგრარული სექტორი, რომელიც დღეს რთული პრობლემების წინაშეა. ამისათვის კი, პირველ ყოვლისა, აუცილებელია პოლიტიკური ნება და სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა, მათ შორის, შიგა ბაზრის დაცვა და პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება, შრომითი რესურსების ადგილზე დამაგრება, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელთა წახალისება, თევზჭერისა და სატყეო მეურნეობის განვითარება (და არა ტყეების გაჩეხვა და უცხოელებზე გასხვისება), შესაბამისი კადრების მომზადება და ა.შ. ამას თვით ეროვნული ტრადიციებიც გვკარნახობს. **სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს, მაგრამ არა გენერალური სტრატეგია.** აგრარულმა სექტორმა უნდა შეძლოს შიგა საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნის გარკვეულწილად დაკმაყოფილება, ამას თვით ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური სტრატეგიის – ტურიზმის განვითარებაც\* გვკარნახობს.

---

\* რასაც სავსებით ვეთანხმებით და რის შესახებაც მსჯელობა არა ერთხელ გვქონდა სხვადასხვა პუბლიკაციებსა თუ საჯარო გამოსვლებში. იხ.

საქართველომ აუცილებელია სწორად გააანალიზოს მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კონკურენტუნარიანობის მოთხოვნებს, შეიგრძნოს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პულსი.

XXI საუკუნე, კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად, მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს, რომელშიც „პირველი ვილინოს“ როლს ინტელექტუალური კაპიტალი ასრულებს. საქართველომ აუცილებლად უნდა შექმნას ახალი ინოვაციური სისტემა, ვინაიდან კონკურენტიაში წარმატებას აღწევენ ისინი, ვინც ქმნიან ბაზარს, ე.ი. ვინც ბაზარს სთავაზობენ ინოვაციებს. დღეს მსოფლიოში პოპულარულია შემდეგი მოწოდება: „დღევანდელი ინოვაციებით მოამველეთ თქვენი გუშინდელი პროდუქცია“. ეს თეზა მეტად საგულისხმოა ტერიტორიულად ისეთი მცირე სიდიდის, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი პოტენციალის მქონე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

ამრიგად, **გლობალიზაცია თავისი არსით უნივერსალურია. ამიტომ, მისი მასშტაბებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რამდენად მართული იქნება ეს მრავალწახნაგოვანი და წინააღმდეგობებით სავსე ფენომენი.** წინააღმდეგ შემთხვევაში გლობალიზაციას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია კაცობრიობისათვის.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე მსოფლიო განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა გლობალური და ლოკალური პროცესების ურთიერთშეხამება და ინტეგრაცია. ამისთვის კი აუცილებელია კონფრონტაციული განვითარებიდან („საჩვენებელი თითის“ პრინციპი) კომპრომისულ განვითარებაზე („ცერა თითის“ პრინციპი) გადასვლა, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ეროვნული თავისებურებების გათვალისწინება, საბაზრო და არასაბაზრო ურთიერთობებისა და ინსტიტუტების თანაფარდობის ოპტიმიზაცია და ა.შ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს **მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის შემუშავება ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნებისათვის.**

---

რ. ასათიანი. „პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს“. თბ., „სიანხლე“, 2005.

## გლობალიზაციის ნეგატიური შედეგები

გლობალიზაციის ძლიერი ტენდენციები დღეს გარდაუვალია, რომელსაც, ბევრ პოზიტიურთან ერთად, ახლავს საკმაოდ გამოკვეთილი **ნეგატიური შედეგები**. იგი, გარკვეული თვალსაზრისით, საფრთხეს უქმნის მცირე ქვეყნებსა და ერებს, უარყოფით გავლენას ახდენს ლოკალურ კულტურებზე.

**გართულებულია მცირე, განსაკუთრებით სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის მართვის დამოუკიდებელი სტრატეგიის განხორციელება.** სახელმწიფოები, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის გზაზე ახლადდამდგარი ქვეყნები, ნაკლებად ავტონომიურია. მათ სულ უფრო ნაკლები ექსკლუზიური კონტროლი აქვთ საკუთარ ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე (აქედან გამომდინარე, შეზღუდულია მათი ეკონომიკური სუვერენიტეტი), ამასთან, ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების შენარჩუნების ნაკლები უნარი შესწევთ. მცირე ქვეყნების ეროვნული კულტურა სულ უფრო ექცევა წინააღმდეგობაში მსოფლიო პროცესებთან. ამიტომაცაა, რომ დღეს მცირე, განსაკუთრებით ტრანზიტულ ქვეყნებს გლობალური სისტემის მუნიციპალიტეტებად აღიქვამენ<sup>23</sup>, მაშინ როდესაც წამყვან განვითარებულ ქვეყნებს დომინანტური პოზიცია უკავიათ ახალი მსოფლიოს წესრიგის განსაზღვრის საქმეში. აღნიშნულ ტენდენციაზე, რომელმაც უკვე კანონზომიერი ხასიათი მიიღო, გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. საერთაშორისო დონეზე მართული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი კონტროლდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მსოფლიოს სააგენტოებს, სავაჭრო ბლოკებსა და მთავარ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებებით.

თანამედროვე პირობებში ბაზრების გახსნილობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. აშშ-ს მსოფლიოში თანაბარი სიძლიერის კონკურენტები არა ჰყავს. არც ევროკავშირსა და არც იაპონიას არ შეუძლიათ ამ როლის შესრულება. დღეს მცირე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა მსოფლიო

---

<sup>23</sup> Ohmae K. The rise of the region State. Foreign Affaiars, Spring,1993, pp. 78-87.

ბაზრების ძალებმა დაჩრდილა. მას აღარ შეუძლია ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე განსაკუთრებული გავლენის მოხდენა.<sup>24</sup>

მცირე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა სულ უფრო და უფრო „გრილდება“. ამიტომ ეროვნული ეკონომიკების ეფექტიანი მართვის ფუნქციები მკვეთრად ეცემა. ინვესტიციები და ფინანსური ნაკადები განვითარებულ ქვეყნებშია კონცენტრირებული. განვითარებადი სამყარო (მითუმეტეს მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში) ინვესტიციების დიდ ნაკლებობას განიცდის.

კონკურენციის თეორიის ცნობილი მკვლევრის **მაიკლ პორტერის** აზრით, „ქვეყნის კონკურენტუნარიანობა იქმნება არა გარე, არამედ შიგა ბაზრებზე.“<sup>25</sup> სწორედ შიგა ბაზრების განუვითარებლობის გამო, პოსტსაბჭოურ სივრცეში, მათ შორის საქართველოში ფერხდება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და, ფაქტობრივად, ყალიბდება საუკუნისწინანდელი კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობები, რომლისგანაც თავის დაღწევა შეძლო მხოლოდ ცივილიზებულმა სამყარომ და დღეს იგი განვითარებული ქვეყნებისთვის ისტორიის კუთვნილებაა.

გლობალიზაციის ერთ-ერთი თანმხლევრი გამოკვეთილი ტენდენციაა მსოფლიო მასშტაბით გაკოტრებული, გადანდისუუნარო ფირმების ზომბირება ანუ **ნეკროეკონომიკის ზომბირება**<sup>26</sup>, რომელიც განსაკუთრებით ნეგატიურად აისახება პოსტკომუნისტურ ქვეყნებზე, თუმცა, ამ საფრთხისგან არც განვითარებული ქვეყნებია დაცული.

---

<sup>24</sup> **ჰერსტი პ., ტომპსონი ბ.** გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. თარგმანი ინგლისურიდან. თბ., „ლიოგენე“, 2005, გვ. 303.

<sup>25</sup> **Портер М.** Конкуренция. Перевод с английского. Санкт-Петербург, Москва, Киев. "Вильямс", 2000, с. 218.

<sup>26</sup> **Папава В.** Проблема зомбирования посткоммунистической некроэкономики. "Вестник Института Кенмана в России". Выпуск 15. М., 2009, с. 17; **Папава В.** Некроэкономика – феномен посткоммунистического переходного периода. «Общество и экономика», 2001, №5; **Papava V.** Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism. New York, "iUniverse", 2005; **Папава В., Токмазишвили М.** Фундамент некроэкономики и развитие деловой активности в постреволюционной Грузии. «Кавказ & Глобализация», 2007, Т.1(4); <http://www.moneyweek.com/news-and-charts/economics/how-zombie-companies-suck-the-life-from-an-economy-14089.aspx> (**Sepek J.** Nov 18, 2008).

მეტიც, როდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ზომბიეკონომიკის ფენომენი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სათავეს იღებს იაპონიაში.<sup>27</sup>

ამრიგად, მესამე ათასწლეულის დასაწყისში გლობალიზაციის პროცესი მკვეთრად დიფერენცირებულია, ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებით, რომლებიც უპირატესად თავს იჩენენ განვითარებად ქვეყნებში. ამერიკელი ავტორის **ჯონ პერკინსის** სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, გლობალური იმპერიის ქოლგის ქვეშ მოქცეული „მესამე სამყაროს“ ქვეყნების საგარეო ვალმა, 2004 წლის მონაცემებით, 2,5 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, ხოლო ამ ვალის მომსახურების წლიურმა ღირებულებამ 375 მლრდ დოლარს მიაღწია. ეს იმაზე მეტია, რასაც ხარჯავენ ეს ქვეყნები ჯანდაცვასა და განათლებაზე და 20-ჯერ მეტი – რასაც თვითონ ყოველწლიურად იღებენ ეკონომიკური დახმარების სახით.<sup>28</sup>

გლობალური პროცესები, ბუნებრივია, არ შეიძლება განვითარდეს ერთი რომელიმე მოდელით – ამერიკულით ან ევროპულით, იაპონური თუ ჩინური. გლობალიზაციას ახასიათებს ზოგადი კანონზომიერებები, რომლებიც ქვეყნის მართვის თავისებურებებიდან გამომდინარე, არა მხოლოდ სხვადასხვა რეგიონში, არამედ ცალკეულ ქვეყნებშიც კი სპეციფიკურობით ხასიათდება. **ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი, რომელიც მრავალი რთული პრობლემის წინაშე დგას, მაგრამ თავისი ორიგინალობით მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება.**

## **საქართველო გლობალიზაციის კონტექსტში**

კვაზისოციალისტური სისტემის ნგრევის შედეგად, სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან ერთად, საქართველო გლობალიზაციის მსოფლიო პროცესის თანამონაწილე გახდა და ახალი ამოცანები

---

<sup>27</sup> **პაპავა ვ.** გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე. „შრომები“. VIII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2010, გვ. 34.

<sup>28</sup> **Перкинс Д.** Исповедь экономического убийцы. 4-е издание. Перевод с английского. М., "Претекст", 2007, с. 29-30.

დაისახა თავის განვითარებაში.

ის გარემოება, რომ საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა და თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით წარმოადგენს ხიდს დასავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის, დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს მას დაიკავოს საკუთარი გეოეკონომიკური სტრატეგიის ადეკვატური ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში. ამ თვალსაზრისით, გადაიდგა კიდევ გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ განხორციელდა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის პროგრამა, საფუძველი ჩაეყარა ტრანსკავკასიური ნავთობსადენის – „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა“ და – „ბაქო-თბილისი-არზრუმის“ გაზსადენის ამოქმედებას, „ბისეკის“ პროექტის (შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა) განხორციელებას, თანამედროვე „აბრეშუმის გზის“ – ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობასა და ა.შ. ეს პროექტები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებასა და გარე სამყაროსთან საქართველოს ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოებას.

საქართველო ჯერ კიდევ 1994 წელს შეუერთდა პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ და ნატოსთან განახორციელა თანამშრომლობის პროგრამები, რაც ბოლო დროს კიდევ უფრო განმტკიცდა. საერთაშორისო ინტეგრაციის ეს პროცესი გლობალიზაციის მოთხოვნაა და მსოფლიო ტენდენციის გამოძახილიც.

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, აქტუალურია შემდეგი კითხვები: რამდენად უპასუხებს საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გლობალიზაციის გამოწვევას? არის თუ არა ქვეყანა მზად აითვისოს გლობალიზაციის პოზიტიური შედეგები და სწრაფად მოახდინოს ეკონომიკის მოდერნიზაცია, ისე როგორც ეს გააკეთა ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის „აზიურმა ვეფხეებმა“, რომლებსაც მხოლოდ 10-15 წელი დასჭირდათ, რომ დაეძლიათ ეკონომიკური ჩამორჩენილობა და ახალინდუსტრიული ქვეყნების სტატუსი მიეღოთ?

მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, საქართველო, ჯერ კიდევ რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას. უპირველეს ყოვლისა, ვერ მოხერხდა ტრანსფორმა-

ციული პროცესების ეთიკის ნორმებში წარმართვა, ეკონომიკური ინტერესების შეჯვერება, წონასწორობის დამყარება საზოგადოებრივ ურთიერთობებში და სოციალური სოლიდარობის მიღწევა, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება, საზოგადოებრივი სექტორის განვითარება და ა.შ.

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე 19 წელი გავიდა და ამ ხნის მანძილზე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდიც კი არ დასრულებულა. კვაზიდემოკრატია აფერხებს ეკონომიკურ განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. საქართველომ ისიც კი ვერ შეძლო, რომ მთლიანი შიგა პროდუქტის წარმოების 1990 წლის დონისთვის მიეღწია. მსოფლიო ბანკისა და სსშ-ის ექსპერტული შეფასებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2008 წელს საქართველოში რეალურმა მთლიანმა შიგა პროდუქტმა (მთლიანი შიგა პროდუქტის დეფლატორის – ფასების ჯაჭვური ინდექსის მეთოდით) შეადგინა 1990 წლის დონის 71,1%, მაშინ როდესაც ეს ბარიერი დაძლია აზერბაიჯანმა (192,8%), სომხეთმა (171,6%), ლატვიამ (140,9%), ესტონეთმა (172,7%), ლიტვამ (129,7%), თურქმენეთმა (218,1%), უზბეკეთმა (157,3%), ყაზახეთმა (143,3%), ტაჯიკეთმა (138,5%), ბელორუსიამ (152,7%), რუსეთმა (112,3%).

სსშ-ის მონაცემებით, მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა საქმიანი გარემო, ჯერ კიდევ, ირღვევა კონტრაქტები, სუსტია სასამართლო სისტემა და ღრმა კორუფციისგან ქვეყანამ თავი ვერ დააღწია.<sup>29</sup>

სათანადოდ არ არის დაცული კერძო საკუთრება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საბაზრო ურთიერთობების განვითარებას საქართველოში.<sup>30</sup> ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იზოლირებულია საქმიანი აქტიურობისაგან, მითუმეტეს პრივატიზაციის პროცესებისაგან, რაც ფორსირებული ტემპით მიმდინარეობს

---

<sup>29</sup> Georgia: Selected Issues/TNF Country Report 06/170. May, 2008, pp. 23-28.

<sup>30</sup> **Papava V.** The Essence of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What about the European Choice? "Georgian International Journal of Science and Technology". Vol. 1, Issue 1, 2008, pp. 8-9.

და არ ითვალისწინებს ქვეყნის თავისებურებებსა და საზოგადოების მოთხოვნებს.

პრივატიზაცია, მიუხედავად დაშვებული უხეში შეცლომებისა, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მმართველობიდან საქართველოს გამოსვლისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ათვლის წერტილია, ქვეყნისთვის წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ის „ველური კაპიტალიზმი“, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში, სწორედ ქვეყანაში გატარებული პრივატიზაციის შედეგებით იშვა, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს ეფექტიანი ეკონომიკის შექმნას, ეკონომიკურ ზრდასა და დემოკრატიის განვითარებას\*.

პრივატიზაციის შედეგია ის, რომ ქვეყანაში ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა. ინტელიგენცია ბედის ამარად დარჩა, მასობრივი პრივატიზაცია (ვაუჩერიზაცია) კი მხოლოდ დაცინვა იყო საზოგადოების მიმართ. **ასეთი გზით შევძლებთ კი სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნას საქართველოში?** ეს კითხვები მეტად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვის.

სახელისუფლებო წნეხის ქვეშაა ოფიციალური სტატისტიკური სამსახური. არაჯანსაღი სტატისტიკა ხელოვნურად ცვლის რეალურ სურათს და ართულებს სწორი დასკვნების გაკეთებას.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა განათლების სისტემა ამ სფეროში არასწორად ჩატარებული რეფორმის გამო. ადამიანის განვითარების ინდექსის (რომელიც 1990 წელს პირველად აისახა გაეროს განვითარების პროგრამაში, ხოლო 1991 წელს დაემატა განათლების მიღების საშუალო ხანგრძლივობა, რის საფუძველზეც შეიქმნა ცოდნის მაჩვენებელი) მიხედვით, რომელიც მერყეობს 0-დან 100 ქულამდე, რანჟირებულია 177 ქვეყანა. 80 და უფრო მაღალი ქულის მქონე ქვეყნები მიჩნეულია მაღალგანვითარებულად, 50-მდე – დაბალგანვითარებულად. საქართველო იყო საშუალოგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში 72,9 ქულით. აღნიშნული მაჩვენებლით იგი, მართალია დარჩა საშუალოგანვითარებული ქვეყნების

---

\* საკუთრების მრავალფორმიანობის მიუხედავად, საკუთრების პლურალიზმი საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა. „ველური კაპიტალიზმი“ და დემოკრატია სრულიად შეუთავსებელი ცნებებია, ამიტომ ასეთ პირობებში საქართველო დემოკრატიული ვერასდროს გახდება.



ჯგუფში, მაგრამ გაუარესდა მისი მდგომარეობა. 2005 წლის მონაცემებით, ამ ინდიკატორის მიხედვით საქართველომ, რომელიც 2002 წელს 81-ე ადგილზე იყო, გადაინაცვლა 96-ე ადგილზე.<sup>31</sup>

**გლობალიზაცია ზოგჯერ ჩამორჩენილ, სუსტად განვითარებულ ქვეყნებს აქცევს უპირატესად მომხმარებლად, ხშირად დაბალი ხარისხის და ფალსიფიცირებული იმპორტირებული ნაწარმის გამსაღებლად. ეს საფრთხე არც საქართველოს აცდა.**

საქართველომ ვერ შეძლო ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა გამხდარიყო. ამჟამად სამომხმარებლო ბაზრის 70% იმპორტულ საქონელს აქვს დაკავებული. 2008 წლის მონაცემებით, საქართველოს 128 ქვეყანასთან ჰქონდა სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები. მიუხედავად ამისა, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მან თავი ვერ დააღწია უარყოფით საგადასახდელ ბალანსს. სავაჭრო ბალანსის უარყოფითმა საღლომ 2008 წელს 4 მლრდ დოლარს მიაღწია, ხოლო ამავე წელს იმპორტის ექსპორტით გადაფარვამ მხოლოდ 23,7% შეადგინა.<sup>32</sup>

საქართველოში მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა. ქვეყანაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 59%. ამასთან, დასაქმებულთა ნახევარზე მეტი თვითდასაქმებულია, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში.

დღეს საქართველოში უმუშევრობის ძირითადი მიზეზები ახალი წარმოქმნილი არ არის და შიდასისტემურია. „მოღიავებული“ ქვეყანა მოუმზადებლად და გაუცნობიერებლად ჩაეშვა გლობალიზაციის მორეგში. მთელი მოსახლეობის მეოთხედი, – აქტიური მოსახლეობის მესამედზე მეტი, – უცხოეთში წავიდა საშოვარზე გონისა და კუნთის, სულისა და ხორცის გლობალურ ბაზარზე სავაჭროდ. ვინც რას შოულობს, ნახევარს აქეთ აგზავნის. ეს გამოგზავნილი ფული აძლევს მსყიდველობით ძალას შინაბაზარს.“<sup>33</sup>

<sup>31</sup> Statistics of the Human Development Report. 2008;

<http://hdr.undp.org/en/statistics>

<sup>32</sup> საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2009. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბ. 2009, გვ. 265.

<sup>33</sup> გლობალიზაციის პრობლემები: საერთაშორისო დისკუსია და ქართული ხედვა. „კომენტარი“, 2003, №1 (სარედაქციო წერილი).

უმუშევართა რიგების ზრდის ახალი ტალღა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაიწყო. ამის მთავარი მიზეზი არახელსაყრელი ბიზნესგარემო და ამ ფონზე უცხოური კომპანიების მიერ საქართველოში ინვესტიციების ჩადებაზე უარის თქმა გახდა. ამასთან, მსოფლიოში განვითარებულმა ფინანსურმა კრიზისმა, ბუნებრივია, უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე, განსაკუთრებით გაამწვავა უმუშევრობის პრობლემა. საქართველოდან სამუშაოდ წასული ემიგრანტები უკან ბრუნდებიან, უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა ფულადი გზავნილები მცირდება, ამას ემატება 30 ათასამდე დევნილი რუსეთის მიერ ახლად-ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის 20% შეადგინა.

საქართველო ტოტალური უმუშევრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მცირდება ეკონომიკური აქტიურობა, ბუნებრივია, დასაქმებაც. ექსპერტთა შეფასებით, უმუშევრობის მსხვერპლი ქვეყნის მოსახლეობის მინიმუმ 25%-ია.

ამრიგად, საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმამ გაცილებით მეტი პრობლემა შექმნა, ვიდრე გადაწყვიტა. ქვეყანა კვლავ ეკონომიკურ ჩიხში მოექცა.

2009 წელს ვაშინგტონში მშვიდობის ფონდმა მოახდინა 177 ქვეყნის რანჟირება შემდეგი 12 მაჩვენებლის მიხედვით: 1. დემოგრაფიული წნეხი; 2. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებულები; 3. მოსახლეობის უმაყოფილო ჯგუფები; 4. ქვეყნიდან ემიგრირების დონე; 5. არათანაბარი ეკონომიკური მდგომარეობა სოციალურ ჯგუფებს შორის; 6. სახელმწიფოს დელეგატიმაცია; 7. ეკონომიკური ვარდნა; 8. სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირების გაუარესება; 9. ადამიანის უფლებების დარღვევა; 10. უშიშროების სამსახურის უკონტროლობა; 11. მოსახლეობის ელიტარული ჯგუფები; 12. სხვა ქვეყნების ჩარევა. ქვეყნები დაყოფილია ყველაზე წარუმატებელ (საგანგაშო), საფრთხილო, ზომიერ და მდგრად ჯგუფებად. **ყველაზე წარუმატებელი ქვეყნების ჯგუფში** პირველ ადგილზეა სომალი, ხოლო საქართველო ამავე ჯგუფის 33-ე ადგილზეა (აღსანიშნავია, რომ პოსტსოციალისტური ქვეყნებიდან მხოლოდ უზბეკეთია ჩვენზე უარეს მდგომარეობაში, მას 31-ე ადგილი უჭირავს), მაშინ როდესაც 2007 წელს მას ეჭირა გაცილებით უკეთესი – 58-ე, ხოლო 2008

წელს – 56-ე ადგილი. ყველაზე წარმატებული, მდგრადი ქვეყანა, რომელსაც ბოლო – 177-ე ადგილი უჭირავს, არის ნორვეგია.<sup>34</sup>

აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურად ისმის კითხვა: არის თუ არა საქართველო მზად იმისათვის, რომ წინ აღუდგეს გლობალიზაციის ნეგატიურ ტენდენციებს, წინააღმდეგობა გაუწიოს მკვეთრად გამოხატულ კოსმოპოლიტურ გლობალიზაციას, რომელიც კოპირების, გათანაბრებისა და გასაშუალების გზით ანგრევს ქვეყნის ეკონომიკას, ყოველივე პოზიტიურს, რაც კი შექმნილა დასაბამიდან დღემდე? არის თუ არა ქვეყანა მზად იმისათვის, რომ დაიცვას ეროვნული ტრადიციები, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, რელიგიურ-ზნობრივი ფასეულობები, ეკოლოგია და, რაც მთავარია, მკვიდრი მოსახლეობა?

ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობა უნდა გამხდარიყო საქართველოში ცხოვრების დონის ამაღლებისა და სამართლიანობის პრინციპებზე აგებული სისტემის ჩამოყალიბების საფუძველი. სამწუხაროდ ასე არ მოხდა. საქართველოში ჯერ კიდევ ლაპარაკია არა ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე, არამედ ადამიანის ბიოლოგიურ არსებობასა და ერის გადარჩენაზე. ქვეყნის არასწორმა მართვამ და არსებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ეკონომიკის მოშლა. ნაკლებად იქნა გათვალისწინებული ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მოთხოვნები. საქართველო აღმოჩნდა თავისებურ რეპრესიულ რეჟიმში.

ცივილიზაციის მიღწეული დონე ახალ აზროვნებას მოითხოვს, რაც განსაკუთრებით აუცილებელია ქვეყნის მართვასა და სახელმწიფო რეგულირებაში. გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის წინსვლა ეროვნული ფასეულობების დაცვის და თვითმყოფადობის შენარჩუნების გარეშე შეუძლებელია. სამწუხაროდ, დღეს საქართველო არ არის მზად გამოიყენოს პოტენციური შესაძლებლობები და წინ აღუდგეს გლობალიზაციის ნეგატიურ ტენდენციებს, წინააღმდეგობა გაუწიოს კოსმოპოლიტურ გლობალიზაციას, რომელიც ქვეყნის უპერსპექტივობის წინაპირობაა. **უცხოურ მოდელზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა, გარკვეულწილად იმ**

---

<sup>34</sup> [www.fundforpeace.org/web/index.php?option=com\\_content&task=view&id=391&Itemid=549](http://www.fundforpeace.org/web/index.php?option=com_content&task=view&id=391&Itemid=549); [www. List of country by failed states index](http://www.List of country by failed states index).

**დიდი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანიც არ არის მყარი ეკონომიკის შექმნა, პირიქით, იგი ქვეყნის ქრონიკული ჩამორჩენილობის საფუძველია.**

მიუხედავად, მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს აქვს პოტენციალი გადაჭრას მის წინაშე არსებული რთული პრობლემები. უპირველეს ყოვლისა, მთავარია არსებული შესაძლებლობების გონივრულად გამოყენება და ის 4,5 მლრდ-ზე მეტი დოლარი, რომელიც 2010 წლის ჩათვლით შემოედინება საქართველოში გრანტისა და კრედიტის სახით, მიზანმიმართულად მოხმარდეს ქვეყანას. საქართველოში პრიორიტეტული უნდა გახდეს ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ხელშეწყობა, ხანგრძლივი მოხმარების საქონლის იმპორტთან შედარებით, უპირატესობა ტექნოლოგიურ იმპორტსა და ლიზინგის განვითარებას მიენიჭოს. ამასთან, როგორც უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „ეკონომიკა განვითარდება, თუ საქართველო შეინახავს ეროვნულ ფასეულობებს“.<sup>35</sup>

იმისათვის, რომ საქართველომ დაიცვას თავისი ეროვნული ფასეულობები, გამოიყენოს და განავითაროს ეკონომიკური თუ ინტელექტუალური პოტენციალი, ჩადგეს ცივილიზებული ქვეყნების რიგებში, დაიცვას ეროვნულ თვითმყოფადობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ინტერესები, ბუნებრივია, უნდა გაითვალისწინოს ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც, „ევროპის მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესი და რიგი“ (ილია ჭავჭავაძე), მაგრამ **იგი სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახების ადგილი და პოლიგონი კი არ უნდა გახდეს, არამედ ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრის ადგილი. ამ თვალსაზრისით, მან უნდა დაიკავოს ის პოზიცია და შეასრულოს ის ფუნქციები, რასაც შევიცარია ასრულებს შუაგულ ევროპაში.** საქართველომ, რომელიც ევროპა-აზიის შესაყარზე მდებარეობს, კავკასიის ამ რეგიონში „რეგიონული ჰაბის“ ფუნქცია უნდა შეასრულოს. პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული და ა.შ. ურთიერთობები და შეხვედ-

---

<sup>35</sup> საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. თბ., „გეოკერია“, 2004, გვ. 294.

რები, რეგიონის სამივე ქვეყნის (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) წარმომადგენელთა მონაწილეობის შემთხვევაში (სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის გათვალისწინებით) პრაქტიკულად მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი<sup>36</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უნიკალური რესურსების მფლობელია, მდიდარია მისი ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, საინტერესო და მიმზიდველია ბუნებრივი რესურსებით, უნივერსალურია სასარგებლო წიაღისეულისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მრავალფეროვნებით, თერმული, მტკნარი და მინერალური წყლებით, კურორტების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით, სამკურნალო ტალახებით, კარსტული მღვიმეებით, კულტურის უძველეს ძეგლთა სიუხვითა და ეთნოგრაფიული თავისებურებებით და ა.შ., ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. არსებული ვითარება ერთხელ კიდევ გვაფრთხილებს, რომ **აუცილებელია გავიაზროთ პასუხისმგებლობა საქართველოს ხვალისდელი დღის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გავერკვეთ, საით მივდივართ, როგორ ეკონომიკურ სისტემას ვაშენებთ და როგორი ქვეყნის აშენება დავისახეთ მიზნად.**

ილია ჭავჭავაძე წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“<sup>37</sup> ამათ გარეშე ჩვენ „ჩვენ“ არ ვიქნებით და მათი მარადიული დაცვა თითოეული ჩვენთაგანის წმინდათა წმინდა ვალია – დასძენდა წმინდა ილია მართალი.

გლობალური საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინტეგრაციის ზრდის მეტად რთულ პროცესებში საქართველომ უნდა შეინარჩუნოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა საკუთარი ეკონომიკის, კულტურის, ტრადიციების, ისტორიის განვითარების საფუძველზე, **ეროვნულ ნიადაგზე ააშენოს ევროპული ცივილიზაცია.**

<sup>36</sup> **ისმაილოვი ელ., პაპავა ვ.** ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბ., „დიოგენე“, 2007, გვ. 175.

<sup>37</sup> **ჭავჭავაძე ი.** თხზ. ტ. III, გვ. 26-27.

საქართველოს ინსტიტუციური გარემო უკანასკნელ პერიოდამდე ძალიან ჰგავდა რუსეთისას. ამჟამად სიტუაცია შეიცვალა. საქართველო ცდილობს გადავიდეს დასავლური ინსტიტუციური მოწყობის მოდელზე. ინსტიტუციური სივრცეების შექმნა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას, ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. დღეს ევროკავშირის ბაზარი ყველაზე ორგანიზებულია მსოფლიოში. ამიტომ საქართველოს ინსტიტუციური გარემოც (რაც წინგადადგმული ნაბიჯია) ევროკავშირზეა ორიენტირებული.

თანამედროვე პირობებში ქვეყნის ინსტიტუციური განვითარება, როგორც დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური საქმიანობის წესების, ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების გამოხატულება, ეყრდნობა „**ინსტიტუციური მიზმის**“ კონცეფციას და აქცენტს აკეთებს სტაბილური და ქმედითი ინსტიტუტების მოდელზე. ამ პროცესის ორიენტირად საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის კანონმდებლობა აირჩია, რაც 1996 წელს დაფიქსირდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში და საბოლოოდ დადასტურდა 2004 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან საქართველოს მიერთებით. ჯერ კიდევ 1997 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც „საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის პირველი სექტემბრიდან მიღებული ყველა კანონი და ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დაწესებულ სტანდარტებსა და წესებს.“ ამ დადგენილების ამოქმედება შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს საკანონმდებლო სისტემის ევროკავშირის საკანონმდებლო სისტემასთან დაახლოების მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად.

დღეს საქართველოს ინსტიტუციური განვითარების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის პროცესი ახლოსაა **გერმენკონის კონვენციის თეორიასთან**, რომელიც „ჩამორჩენილობის უპირატესობის“ სახელითაა ცნობილი. „ლოგიკურია, ისეთმა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, ინსტიტუციური განვითარება ნულიდან კი არ უნდა დაიწყოს, არამედ ევროკავშირის გამოცდილება გამოიყენოს... ევროკავშირი ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ნაკრებია მსოფლიოში, რომელსაც მაღალი ეკონომიკური და სოციალური

მწარმოებლურობა ახასიათებს.“<sup>38</sup> მართლაც, განვითარებული ქვეყნების ინოვაციების იმიტირება, რომელიც თავისთავად არ იძლევა ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების საშუალებას, ხელს შეუწყობს საქართველოში ბიზნესგარემოს გაჯანსაღებას. ამასთან, ინსტიტუციური განვითარება, როგორც ეკონომიკური ქცევის ფორმალური წესებისა და ფარული ნორმების ერთობლიობა (**დეგლას ნორტი**), ურთულესი პროცესია, რომელსაც ისეთი სპეციალური საკომუნიკაციო არხების მობილიზება სჭირდება, როგორიც არასამთავრობო ორგანიზაციებია. ახალმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყოს საბაზრო ურთიერთობებისა და ბიზნესის განვითარებისთვის ჯანსაღი სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს შექმნა, გლობალიზაციის იმ ნეგატიური ტენდენციების აღმოფხვრა, რომელიც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის ეკოლოგიას.

**განვითარებული საბაზრო ეკონომიკა არ წარმოადგენს ეკონომიკას წესების გარეშე. ამ წესების დაცვა აუცილებელია ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელმაც მიზნად ასეთი ეკონომიკის შექმნა დაიხსნა. ამიტომ, ბუნებრივია, ურთულესი ამოცანების წინაშე დგას დღეს საქართველო.**

## **ეკონომიკური თემორიის როლი ეკონომიკურ პოლიტიკასა და საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში**

**მაინც რაში მდგომარეობს „კეინზიანური რევილუციის“ კრედიო და რა კავშირი აქვს მას საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასთან?** ჩვენი მსჯელობა ზოგადი, კონკრეტიზაციას მოკლებული რომ არ იყოს, შევეცდებით მოკლედ ავხსნათ ეს პროცესი.

კეინზის თეორია 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და მისი შემდგომი პერიოდის დეპრესიის გამოძახილი იყო. იგი დაუპირისპირდა ადამ სმიტის კლასიკურ-ლიბერალურ თეორიას, რომელმაც კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე

---

<sup>38</sup> **სამსონი ი.** განვითარების გზების ძიება: საქართველოს ამოცანები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. მარტი, 2006, გვ. 89.

XXI საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ამოწურა თავისი შესაძლებლობები.

ეკონომიკის კრიზისული პროცესების ანალიზისადმი მიძღვნილი კეინზის თეორია უმთავრესად იკვლევდა საწარმოთა ქრონიკული დაუტვირთობის, მასობრივი უმუშევრობისა და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების გამომწვევ მიზეზებს.<sup>39</sup> კეინზის აზრით, საზოგადოების ყველა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პრობლემის გადაჭრის გზა უნდა მოიძებნოს არა რესურსების მიწოდებაში, არამედ მოთხოვნის გაზრდაში (ამიტომაცაა კეინზის თეორია „მოთხოვნის თეორია“ სახელწოდებით ცნობილი). მან პირველმა განიხილა უმუშევრობა, როგორც ეფექტიანი მოთხოვნის უკმარისობის შედეგი. ეკონომიკურ მეცნიერებაში კეინზმა პირველმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ეფექტიანი მოთხოვნის შექმნისათვის აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, რომ სახელმწიფომ უნდა იკისროს მაკროპროპორციების დაცვა და ბაზრის „შეცლოების“ გამოსწორება.

ჯონ მეინარდ კეინზის ვარაუდით, სახელმწიფო, სოციალური დანახარჯების გაზრდით ან გადასახადების შემცირებით, ან ორივე ღონისძიების შერწყმით, ანუ მაკროეკონომიკურ რეგულირებაში საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების წინა პლანზე წამოწევით შეძლებდა ერთობლივი მოთხოვნის ამაღლებას და ამით გააფართოებდა წარმოებას, რომელიც ეკონომიკას დაუბრუნებდა სრულ დასაქმებას. ამაში მდგომარეობდა „კეინზიანური რეველუციის“ მთავარი იდეა. ამასთან, კეინზი მიუთითებდა ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ამ რეკომენდაციების აუცილებლობას მხოლოდ კრიზისის დროს, ხოლო როდესაც ეკონომიკა შეძლებდა მისგან თავის დაღწევას, მაშინ მთელი ძალით ამოქმედდებოდა საბაზრო რეგულირების ტრადიციული მეთოდები.

საყურადღებოა **კეინზის მულტიპლიკატორის თეორია**, რომელიც ხსნის ურთიერთდამოკიდებულებას დასაქმების, შემოსავლების მატებასა და ინვესტიციების ზრდას შორის. მის მიხედვით, რაც უფრო მაღალია სამომხმარებლო მოთხოვნა, მით უფრო დიდია ბაზ-

---

<sup>39</sup> Кейнс Дж. М. Общая теория занятости, процента и денег. Перевод с английского. М., "Прогресс", 1978, с. 55.



რის ტევადობა და, მამასადამე, მით მეტი ხელსაყრელი პირობები იქნება წარმოების, დასაქმებისა და შემოსავლების ზრდისათვის. კეინზის აზრით, რაც უფრო მაღალია „მონხარებისაკენ ზღვრული მიდრეკილება“, მით უფრო დიდია მულტიპლიკატორის სიდიდე, მით უფრო იზრდება ინვესტიციები და მეტი წინსვლაა დასაქმებაში<sup>40</sup>.

XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრამდე ცივილიზებულ ქვეყნებში საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, რომლის დამახასიათებელ თვისებას დაბეგვრის განაკვეთის დიფერენცირებული შემცირება წარმოადგენდა, ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტიმულირების მთავარი ინსტრუმენტი იყო. ამ პერიოდში ეს ქვეყნები ცდილობდნენ ისე აეგოთ საგადასახადო პოლიტიკა, რომ წაეხალისებინათ კორპორაციები დანაზოგების წარმოებაში დაბანდებისათვის, რაც, თავის მხრივ, ერთობლივი ინვესტიციების ზრდას განაპირობებდა.

მართალია, ლიბერალურმა საგადასახადო პოლიტიკამ, საგადასახადო ტვირთის რადიკალურმა შემსუბუქებამ მოკლევადიან პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება გამოიწვია, მაგრამ მისი გრძელვადიანი შედეგები სრულიად განსხვავებული იყო. მან გაზარდა ბიუჯეტში შენატანები, რამაც გამოიწვია ინფლაციის დამუხრუჭება და დეფიციტის შემცირება. საგადასახადო განაკვეთის შემცირებამ, საბოლოო ანგარიშით, გამოიწვია საერთო საგადასახადო შენატანების არა შეკვეცა, არამედ გადიდება.

ომის შემდგომ წლებში, ვიდრე 70-იანი წლების შუა ხანებამდე, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში წარმატებით გამოიყენებოდა საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანური მოდელი. ამ მოდელის რეალური განსახიერებაა შერეული, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნა ფერ-ში, სკანდინავიისა და დასავლეთის სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ეს მოდელი დაინერგა აშშ-ში 60-იანი წლების შუა ხანებში. სწორედ ამ პერიოდში ამერიკაში გაატარეს სიღარიბესთან ბრძოლის ფართომასშტაბიანი ღონისძიებები. მაგრამ, 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დასავლეთის ქვეყნებში თავი

---

<sup>40</sup> Кейнс Дж. М. Общая теория занятости, процента и денег. Перевод с английского. М., "Прогресс", 1978, с. 191.

იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტი ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა. „სახელმწიფო ინტერვენცია“ გამოვლინდა ინფლაციური პროცესების გაძლიერებაში, ბიუჯეტის დეფიციტის, სახელმწიფო ვალის ზრდამი, სახელმწიფო აპარატის გაბერვაში და, საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფო გადასახადების რეკორდულ გადიდებაში. ამან გამოიწვია საბაზრო ეკონომიკის სტიმულების დაჩლუნგება და ეკონომიკური ზრდის შენელება.

1974-1975 წლების კრიზისმა ნათელი გახადა, რომ სახელმწიფო არ იყო ყოვლისშემძლე ეკონომიკური ზრდის პრობლემების გადაჭრაში. დაიწყო ეკონომიკური ზრდის კეინზიანური მოდელის მოწინააღმდეგეთა „რენესანსი“, ხელშემწყობი პირობები შეიქმნა „სახელმწიფოს მინიმუმის“ კლასიკური თეორიის აღორძინებისათვის. ნეოკლასიკური თეორიის იდეამ, რომელიც ძირითადად ითვალისწინებდა მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის შესუსტების საფუძველზე ბაზრისთვის მეტი თავისუფლების მინიჭებასა და ერთობლივი მიწოდების გაზრდას („მიწოდების თეორია“), იმ პერიოდში პრაქტიკული გამოყენება პოვა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში, თუმცა, ვერ მოხერხდა კეინზიანური თეორიის სრული დისკრეტიზაცია. საქმე ისაა, რომ ნეოკონსერვატული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებამ გამოიწვია სოციალური ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება და სერიოზული პრობლემები წარმოქმნა სოციალური დაცვის სფეროში. გამოიკვეთა ეკონომიკური განვითარების ახალი მიმართულების შექმნის აუცილებლობა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ნეოკლასიკურმა მიმართულებამ, კეინზიანელობასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური ზრდის ახალ თეორიას „**ნეოკლასიკური სინთეზის**“ სახით. ეს პერიოდი ეკონომიკურ თეორიაში ამ სიახლის მთავარი შემოქმედის – **პოლ სამუელსონის** სახელთან არის დაკავშირებული და **სამუელსონის ეპოქის** სახელწოდებითაა ცნობილი. იგი ითვალისწინებს „ორივე ხელის სტრატეგიის“, ანუ როგორც კეინზიანური, ისე ნეოკლასიკური მიდგომების მნიშვნელოვანი ელემენტების გამოყენებას სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობაში.

კეინზიანური და ნეოკლასიკური თეორიების სინთეზზე აგებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად აშშ-სა და სხვა

განვითარებულ ქვეყნებში შემცირდა ინფლაცია, უმუშევრობა და მიღწეულ იქნა მყარი ეკონომიკური ზრდა.

„მიწოდების თეორიისა“ და „მოთხოვნის თეორიის“ პოსტულატების ერთდროულად ჩართვა ეკონომიკურ პოლიტიკაში აუცილებლობით იყო განპირობებული. ამით ცივილიზებულ ქვეყნებში მაკროეკონომიკური რეგულირების მოდელსა და, აქედან გამომდინარე, მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში არსებითი პოზიტიური ცვლილებები მოხდა. დღის წესრიგში დადგა ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევათა გამოყენების საფუძველზე. „ნეოკლასიკური სინთეზი“ საფუძველად დაედო აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანის პოლიტიკას, რომელსაც „რეოგანომიკა“ ეწოდა, ხოლო დიდ ბრიტანეთში – ტეტჩერის მთავრობის პოლიტიკას და მას „ტეტჩერიზმი“ ეწოდა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ეკონომიკური რეგულირების კენზიანური მეთოდების წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავედ გაილაშქრა ნეოკლასიკური მიმართულების ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ნაირსახეობამ – **მონეტარიზმმა** და მისმა მთავარმა წარმომადგენელმა **მილტონ ფრიდმენმა**. ამ მიმდინარეობას „**ფრიდმენის ანტიკენზიანურ რეველუციასაც**“ კი უწოდებენ დასავლეთში. მონეტარიზტები ეკონომიკურ განვითარებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ფულად სფეროს ანიჭებდნენ და მოითხოვდნენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ყველა ფორმის მკვეთრ შეზღუდვას.

90-იანი წლებიდან მოყოლებული განვითარებული ქვეყნების და, პირველ რიგში, აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკაში „ნეოკლასიკური სინთეზის“ ადგილი თანამედროვე მონეტარიზმმა დაიკავა. მ. ფრიდმენისა და საერთოდ, „ჩიკაგოს სკოლის“ თეორიაზე მორგებული ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებდა მაკროეკონომიკური რეგულირების შესუსტებასა და საბაზრო ძალების გაძლიერებას, სახელმწიფო სოციალური ხარჯების შემცირებას სოციალური პროგრამების შეკვეცის, სოციალურად დაუცველი ფენებისათვის დახმარებების შემცირების, ხელფასის მინიმალური განაკვეთების „გაყინვისა“ და ა.შ. გზით, პროფკავშირების შესუსტებასა და ა.შ.

**მილტონ ფრიდმენის მონეტარული თეორიის ნაკლოვანებებმა თავი იჩინა ბოლო პერიოდში მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში. გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი**

მიზეზი სწორედ მაკროეკონომიკური რეგულირების მკვეთრ შეზღუდვასა და, გარკვეულწილად, საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების, შეიძლება ითქვას, უკანა პლანზე გადაწევაში მდგომარეობდა. ამასთან, ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ, თვითდინებაზე მიშვებამ და წინა პლანზე ფულის ფინანსების წამოწევამ გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას და მსოფლიოს ფინანსური კრიზისისკენ უბიძგა. ამაში ფრიდმენის მონეტარული პოლიტიკის ფართომასშტაბიანმა და უპირობო გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა.

მსოფლიო ფინანსური კრიზისი მეტ-ნაკლები ზომით აისახა ნებისმიერ ქვეყანაში, რაც, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებასა და ერთობლივი მოთხოვნის დაცემაში გამოიხატა. ასეთ სიტუაციაში სავსებით ლოგიკურად, წინა პლანზე ისევ კეინზიანური თეორიის პოსტულატებმა წამოიწია. ეს გამოიხატა ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გააქტიურებაში, სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდასა და გადასახადების შემცირებაში, ბიზნესის ფინანსურ მხარდაჭერასა და ა.შ.

საქართველოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პოლიტიკაში რეფორმირების არც ერთ ეტაპზე, სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული მსოფლიოში ფართოდ აპრობირებული ეს მდიდარი გამოცდილება. კლასიკური ფორმით ეკონომიკური ზრდის არც ერთი მოდელი არ გამოუყენებია საქართველოს. ის რეკომენდაციები, რომლებიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას, ეკონომიკის განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო. ქვეყნის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ.

„კეინზიანური რეველუციიდან“ მოყოლებული არ არსებობს დღეს განვითარებული ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესსა და კრიზისულ სიტუაციაში, თავისი ეკონომიკური პოლიტიკისთვის საფუძვლად არ დაედო კეინზიანური მოდელი. მაშ რატომ არ იქნა იგი გამოყენებული საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში?

როგორც ცნობილია, ეკონომიკის სისტემური გარდაქმნის სტრუქტურაში განმსაზღვრელი ადგილი მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას უჭირავს. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის თეორიუ-

**ლი ასპექტები უშუალო კავშირშია საქართველოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაში წარმოქმნილ პრობლემებთან.** ამიტომ შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ ისინი.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის გარეშე ინსტიტუციური, მიკრო- და მაკროეკონომიკური გარდაქმნები, როგორც სისტემური გარდაქმნის დანარჩენი შემადგენელი ნაწილები, დეფორმირებულ ხასიათს იღებს. მართლაც, ინსტიტუციური გარდაქმნები (საკუთრების განსახელმწიფოებრივება, ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, რესურსების, საქონლისა და მომსახურების ბაზრების ფორმირება და სხვ.), ასევე, ფასების ლიბერალიზაცია, ეკონომიკის დემონოპოლიზაცია, ანტიმონოპოლიური რეგულირება, საგარეო-ეკონომიკური უთიერთობების ლიბერალიზაცია, ჩაკეტილი ეკონომიკიდან ღია ეკონომიკაზე გადასვლა და სხვ. მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე. მაკროეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტები აშკარა, დაუფარავ სპეკულაციურ ორიენტაციას იღებს, ფასების ლიბერალიზაცია შეიძლება ჰიპერინფლაციაში გადაიზარდოს და ა.შ. თავის მხრივ, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია შეუძლებელია ინსტიტუციური, მიკრო- და მეგაეკონომიკური გარდაქმნების გარეშე განხორციელდეს. ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში, საბაზრო ურთიერთობებისა და შესაბამისი ინსტიტუტების უქონლობის გამო, იგი დირექტიულ-ცენტრალიზებულ ფორმას იღებს.

ეკონომიკური რეფორმების წარმატება თუ წარუმატებლობა დიდად არის დამოკიდებული იმ მოდელზე, რომელიც ქვეყანამ სისტემური გარდაქმნის, ეკონომიკის რეფორმირების საწყის ეტაპზე უნდა აირჩიოს.

მსოფლიო პრაქტიკამ ამ თვალსაზრისით წინა პლანზე „შოკური თერაპიისა“ და გრადუალისტური მოდელები წამოწია.

**„შოკური თერაპია“**, პირველ ყოვლისა, ტრანსფორმაციული პროცესების დაჩქარებული ტემპით, შოკისმოგვრელი ეფექტით წარმართვას გულისხმობს და შემდეგ ძირითად პრინციპებს ემყარება: ფასების განთავისუფლება-აშვებას, თავისუფალი ფასწარმოქმნის საფუძველზე ფასებისა და საგარეო ვაჭრობის სწრაფ ლიბერალიზაციას, საკუთრების განსახელმწიფოებრივებასა და კერძო საკუთ-

რების ჩამოყალიბებას, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მინიმიზაციასა და ა.შ. მისთვის დამახასიათებელია რადიკალიზმის უაღრესად მაღალი დონე, რაც, ზემოაღნიშნული გარდაქმნების პარალელურად, არსებული ეკონომიკის დემონტაჟში, მისი სხვადასხვა მეთოდით ნგრევაში გამოიხატება.

**გრადუალისტური მოდელისათვის** ნიშანდობლივია სახელმწიფო ინსტიტუტების შეცვლა-განახლება ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი შენარჩუნებით, ეროვნული მეწარმეობის სტიმულირება და წარმოების სტაბილიზაცია, სახელმწიფო მონოპოლიების არსებობა ეკონომიკის საკვანძო სფეროებში და ა.შ. იგი ძველი ეკონომიკური სისტემის ელემენტების გამოყენების საფუძველზე თანდათანობით, ევოლუციური გზით გარდაქმნას გულისხმობს. ამიტომ ეს მოდელი გრადუალისტური (ევოლუციური) გზის გარდა, სტრუქტურულ-წარმოებრივი მაკროსტაბილიზაციის სახელწოდებითაა ცნობილი. იგი მაკროეკონომიური სტაბილიზაციის სხვა მოდელებისაგან რადიკალურად განსხვავდება და გათვლილია წარმოებრივი პოტენციალის განვითარებაზე, სამაჟულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აღნიშნული ორი მოდელიდან **საქართველომ „არჩევანი“ „შოკურ თერაპიაზე“ გააკეთა.** „დიდი აფეთქების“ სახელწოდებით ცნობილი ეს მოდელი „ვაშინგტონის კონსენსუსის“ საფუძველზე განხორციელდა და იგი არაოპტიმალური აღმოჩნდა საქართველოსათვის (იხე როგორც ამ ტალღაში მოხვედრილი მრავალი სხვა ქვეყნებისთვისაც). აღნიშნულმა მოდელმა ვერ გაამართლა, ვინაიდან ეკონომიკის შოკირებას თერაპია არ მოჰყოლია. შემთხვევითი არაა, რომ „შოკური თერაპია“ თვით „პოსტვაშინგტონის კონსენსუსმაც“ კი უარყოფითად შეაფასა. **საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეს გზა არ იყო გათვლილი საქართველოს წარმოებრივი პოტენციალის განვითარებასა და ფინანსურ სტაბილიზაციაზე. მის მიზანს მხოლოდ ფასების აშვება და ვაჭრობის ლიბერალიზაცია წარმოადგენდა.**

რაც შეეხება **მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოდელებს**, მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია მათი შემდეგი ძირითადი ტიპები: ორთოდოქსული, ჰეტეროდოქსული და სტრუქტურულ-წარმოებრივი.

**ორთოდოქსულ მოდელში** აქცენტი კეთდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირებაზე სახელმწიფო ხარჯების (სახელმწიფო მმართველობის, თავდაცვის, სოციალური დაცვის ხარჯების, სახელმწიფო ტრანსფერების, სუბსიდიების და ა.შ.) შემცირების გზით. მისთვის დამახასიათებელია საგადასახადო პოლიტიკის გამკაცრება (საგადასახადო შეღავათების შემცირება, გადასახადების გადიდება და ა.შ.), რასაც თან ახლავს ინფლაციური სპირალის წინააღმდეგ მიმართული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებაც. იგი გამოიხატება ცენტრალური ბანკის მიერ ფულის ემისიის შეზღუდვით, საპროცენტო განაკვეთის ამაღლებით, ბანკთაშორისი სარეზერვო ნორმის გადიდებითა და ა.შ. ამიტომ მასზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს ფულის მიწოდების შეზღუდვას, რისი ერთადერთი გზაც, ფულის ემისიის შეზღუდვასთან ერთად, კომერციული ბანკების რეზერვების შემცირებაა. ბანკთაშორისი სარეზერვო ნორმის გადიდება ავტომატურად ამცირებს კომერციული ბანკების განკარგულებაში არსებულ ფულად მასას და, შესაბამისად, ფულად მულტიპლიკატორს, ხოლო საპროცენტო განაკვეთის გადიდება ამცირებს კომერციული ბანკების დაინტერესებას გაზარდონ თავიანთი რეზერვები ცენტრალური ბანკისგან სესხის აღების გზით.

მაკროსტაბილიზაციის ორთოდოქსული ტიპისათვის დამახასიათებელია ეკონომიკური სტაბილიზატორების (ე.წ. „ლუზის“) არჩევის ორი ძირითადი გზა: **პირველ** შემთხვევაში აქცენტი კეთდება მიმოქცევაში ეროვნული ფულის შეზღუდვაზე, ე.ი. „ფულად ლუზაზე“, რომელსაც საფუძვლად მონეტარული მეთოდები უდევს. იგი ემყარება მკაცრ საბიუჯეტო, საგადასახადო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკას „მცურავი“ გადასაცვლელი სავალუტო კურსის პირობებში, როდესაც ანტიინფლაციური ღონისძიებები დაყვანილია ერთობლივი მოთხოვნის შემცირებასა და ფულადი მასის შეზღუდვაზე; **მეორე** შემთხვევაში აქცენტი კეთდება სავალუტო კურსის სტაბილიზაციაზე ფიქსირებული კურსისა და სავალუტო „დერეფნის“ დადგენის გზით, ე.ი. „სავალუტო ლუზაზე“. ეს ღონისძიება ხელს უწყობს ინფლაციური მოლოდინის შემცირებას, ბაზრის სუბიექტების ეკონომიკური ქცევის წინასწარ განჭვრეტასა და ა.შ. ამ შემთხვევაში გამახვილებულია ყურადღება უცხოურ ვალუტაზე, პირ-

ველ ყოვლისა, აშშ-ის დოლარზე და გადასაცემელი სავალუტო კურსის სტაბილურ შენარჩუნებაზე.

ამრიგად, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული მოდელი, ერთი მხრივ, მონეტარული პოლიტიკის („ფულადი ღუზა“), ხოლო, მეორე მხრივ, ფიქსირებული სავალუტო კურსის („სავალუტო ღუზა“) გამოძხატველია. სუსტი ეკონომიკის პირობებში იგი წარმოშობს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორცაა: დაბალი საინვესტიციო და საქმიანი აქტიურობა, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შესუსტება, გადაუხდელობის კრიზისის გადრმავება, წარმოების გაფართოების შესაძლებლობების შეზღუდვა, საშინაო ბაზარზე სამამულო წარმოების პროდუქციის წილის დაცემა, საგადასახადო ბაზის შეკვეცა და სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირება, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება და ა.შ

**ჰეტეროდოქსული მოდელი** აქცენტს აკეთებს შემოსავლებისა და ფასების „გაყინვაზე“, რაც ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ფინანსური სტაბილიზაციის „მესამე ღუზის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს მოდელი, განსაკუთრებით „შოკის“ ფორმით, იძლევა სწრაფ ანტიინფლაციურ ეფექტს, მაგრამ წარმოქმნის ნეგატიურ შედეგებსაც: ხდება ფასისმიერი იმპულსების დეფორმაცია, ქრება წარმოების განვითარების სტიმულები, ჩნდება სასაქონლო დეფიციტის წარმოქმნის საშიშროება და ა.შ. ჰეტეროდოქსული მოდელისთვის ნიშანდობლივია „შოკური თერაპიისთვის“ დამახასიათებელი სწრაფი ფინანსური სტაბილიზაციის პრინციპის შეხამება ფიქსირებული ან დროებით „გაყინული“ ფასების პრინციპთან. მისი სტრატეგია ნეოლიბერალური და ნეოკეინზიანური თეორიების ძირითადი პოსტულატების მექანიკური შეერთების გამოხატულებაა.<sup>41</sup>

მაკროსტაბილიზაციის მესამე მოდელი – **სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია**, როგორც გრადუალისტური ვარიანტი, „შოკისაგან“ განსხვავებით, ხორციელდება თანდათანობით, ეკოლოგიურად. მისთვის დამახასიათებელია სახელმწიფოს ეკონომიკური

---

<sup>41</sup> **Стиглиц Дж.** Многообразные инструменты, шире цели: движение к пост-Вашингтонскому консенсусу. “Вопросы Экономики”, № 8, 1998, с. 17.



როლის გააქტიურება არა მხოლოდ რეგულირების აპრობირებული მეთოდების გამოყენებით, არამედ პროგრესული სტრუქტურული პოლიტიკის გატარებით, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის საკვანძო სფეროების მართვის შენარჩუნებით, წარმოების მოდერნიზაციით, ადგილობრივ მწარმოებელთა დაცვით, მეცნიერული გამოკვლევების წახალისებითა და ა.შ. სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია ფინანსური სტაბილიზაციის მიზნით ითვალისწინებს არა ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვას, არამედ მის სტიმულირებას, როგორც შინამეურნეობების, ისე ფირმების მიმართ. ეს მოდელი, ეკონომიკის კონვერსიის თვალსაზრისით, „შოკური თერაპიის“ ანტიპოლია, ხოლო მაკროსტაბილიზაციის თვალსაზრისით, ორთოდოქსული და ჰეტეროდოქსული სტაბილიზაციის მოდელების ანტიპოლი. თუმცა იგი არ გულისხმობს ანტიინფლაციური პოლიტიკისა და ფინანსური სტაბილიზაციის ყველა მოთხოვნის უგულებელყოფას. სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია ითვალისწინებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ელემენტების სუბორდინაციასა და მისი განხორციელების წესების შეცვლას. ამ მოდელის ფარგლებში ფინანსური სტაბილიზაცია იქცევა თანმხლებ და წარმოებულ ელემენტად, ხოლო ანტიინფლაციური პოლიტიკის განხორციელების წესი პრინციპულად იცვლება. **მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ამ მოდელში გარკვეულწილად გაერთიანებულია როგორც კეინზიანური, ისე ნეოკლასიკური თეორიების ძირითადი პოსტულატები და იგი, ჩვენი აზრით, ამითაც იმსახურებს ყურადღებას.**

სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის, გრადუალიზმის გამოყენების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ იაპონია, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში აქტიური მიზანმიმართული პოლიტიკა გაატარა რესურსული პოტენციალის განვითარებისა და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების თვალსაზრისით. ასევე, შეიძლება დავასახელოთ უნგრეთი, სადაც შემუშავებულ იქნა „კუპას გეგმა“, რომელშიც გრადუალიზმთან ერთად „შოკური თერაპიის“ ელემენტებიც იქნა გათვალისწინებული.

გრადუალიზმის თვალსაჩინო მაგალითად თანამედროვე ჩინეთიც გამოდგება, რომელმაც „რბილი დაშვების“ პოლიტიკა აირჩია და საბაზრო საწყისებზე ახორციელებს წარმოებრივ-ეკონომიკური პოტენციალის მძლავრ მოდერნიზაციას, აქტიური სტრუქტურული,

წარმოებრივი და საინვესტიციო პოლიტიკით განაპირობებს წარმოებრივი სიმძლავრეების განახლებას, წარმოების დანახარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საფუძველზე სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ერთობლივი მიწოდების ზრდას, რაც, საბოლოო ანგარიშით, ანტიინფლაციურ ეფექტს იწვევს. ჩინეთი პარალელურად ახორციელებს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას, რაც ერთდროულად სოციალური პრობლემების გადაჭრის საწინდარია. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტში მალაღია შიგა ინვესტიციების წილი, რომელიც 40%-ს აღწევს.

სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის პროგრამები იწვევს საკრედიტო შეზღუდვების შერბილებას, ქმნის დამატებითი ფულადი ემისიის შესაძლებლობას, რაც ინფლაციის გაზრდის საშიშროებას წარმოქმნის. მისი შეკავება შესაძლებელია ინფლაციის კონტროლის გაძლიერებით, რაც გამოიხატება ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქციაზე ფასების კონტროლით, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმების განვითარებითა და, საერთოდ, მაკროეკონომიკური დინამიკისადმი მუდმივი ყურადღებით. ამ გზით წარმოშობილი ინფლაცია მოკლევადიანია. იგი მხოლოდ საწყის ეტაპზე ვლინდება, ხოლო შემდეგ, წარმოების გამოცოცხლებისა და აღმავლობის საფუძველზე, თანდათან ქრება.

ამრიგად, ამგვარი გზით მიღწეული ფინანსური სტაბილიზაცია არსებითად განსხვავდება ლიბერალურ-მონეტარული პოლიტიკის შედეგად მიღწეულისაგან. რაც მთავარია, **იგი იძლევა სამამულო პროდუქციით ბაზრის გაჯერების შესაძლებლობას**, ამასთან, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეროვნული ეკონომიკის „სანედლეულო დანამატად“ გარდაქმნის არღამების გარანტიას.

ბუნებრივია, ეკონომიკის სტაბილიზაციის სტრუქტურულ-წარმოებრივი მოდელის განხორციელება რიგ წინააღმდეგობებს აწყდება, მათ შორის, აღსანიშნავია, დასახული მიზნის მისაღწევად მსხვილი ფინანსური რესურსების აუცილებლობა, მოლოდინის პერიოდის საკმაო ხანგრძლივობა, ინფლაციის შეჩერების რისკის მაღალი ალბათობა, მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებასთან დაკავშირებული ძლიერი ბიუროკრატიული ბარიერები და ა.შ.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოდელების მოკლე მიმოხილვა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: საქართველოში ეკონომიკის სისტემური გარდაქმნების (კონვერსიის) მაკროეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულ იქნა ორთოდოქსული ტიპის პირველ ვარიანტზე („ფულად ღუზაზე“). ეს არის ლიბერალურ-მონეტარული პოლიტიკა, რომელიც „ძვირი ფულის“ პოლიტიკით გამოიხატა და, „მოკური თერაპიის“ შემდეგ, ვაშინგტონში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში აისახა.

რაც შეეხება გრადუალისტურ მოდელს, საბაზრო ეკონომიკაზე ევოლუციური გზით გადასვლის შესაძლებლობები საქართველომ ხელიდან გაუშვა, თუმცა ამისთვის, გარდა იმისა, რომ არ იყო პოლიტიკური ნება, მიზეზი მრავალი იყო. მათ შორის აღსანიშნავია ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა, კონფლიქტები, სამოქალაქო თუ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ომები და ა.შ.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული მოდელი, ისე როგორც „მოკური თერაპია“, თავსმხსვეული იყო და საქართველოს წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ.

საქართველოში კონვერსიის რანგში აყვანილი ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესები, გარდაქმნებში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, ახალი ტიპის გარდამავალი პერიოდის ეტაპებად დაყოფის შესაძლებლობას იძლევა. დროის ეს მონაკვეთი სპეციფიკური ნიშნებითა და თავისებურებებით ხასიათდება და სამ ეტაპად მისი დაყოფის შესაძლებლობას იძლევა. I ეტაპი მოიცავს 1991-1995 წლებს, II ეტაპი – 1996-2003 წლებს, ხოლო III ეტაპი იწყება 2004 წლიდან და გრძელდება დღემდე.

**I ეტაპი** „მოკური თერაპიის“ პერიოდია. იგი „საბაზრო ეიფორიის“, საქართველოს უახლეს ეკონომიკურ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული და მძაფრი წინააღმდეგობებით აღსავსე წლებია. საქართველო (ისე როგორც ზოგიერთი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანა), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსეთისაგან განსხვავებით, პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სახელმწიფოებრიობის ატრიბუტების არქონის გამო, დადგა ორი ურ-

თულებს ამოცანის წინაშე: „შოკური თერაპიის“ განხორციელებასთან ერთად, პარალელურად უნდა ჩამოეყალიბებინა სახელმწიფო ინსტიტუტები.

„შოკური თერაპიის“ კლასიკური სქემა — „ბალცეროვიჩის გეგმა“ საქართველოში ბრმა კოპირების შედეგად განხორციელდა როგორც რუსულ „სარკეში“ ამ გეგმის ანარეკლი.<sup>42</sup> საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემის სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ეროვნული ვალუტის არარსებობის გამო, საქართველო, ჯერ კიდევ სამანეთო ზონაში იყო და მიმოქცევაში უკვე დაშლილი საბჭოთა კავშირის მანეთი და რუსული რუბლი ჰქონდა, რაც ხელს უშლიდა „შოკური თერაპიის“ სრულყოფილ განხორციელებას. „ასეთ ვითარებაში „შოკური თერაპიის“ მოდელის ძირითადად მხოლოდ ფასების ლიბერალიზაციაზე დაყრდნობით განხორციელებული არასრულფასოვანი მოდიფიკაცია კრახისთვის იყო განწირული.“<sup>43</sup>

**ჯონ კენეთ გელბრეითის** აზრით, რეფორმა იწყება არა ახალი მთავრობითა და კანონებით, არამედ ჩვენი შეხედულებებით ეკონომიკურ სისტემაზე.<sup>44</sup> სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის სიძნელები დაკავშირებული იყო არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მიმე შედეგებთან, არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ სტერეოტიპებთან, რომლებიც დამკვიდრდა საზოგადოების ცნობიერებაში, არამედ ცოდნის მწვავე დეფიციტთანაც. მან განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი სახელმწიფო სტრუქტურებში. იმდენი არაკვალიფიციური სახელმწიფო მოხელე, რომლებსაც წარმო-

---

<sup>42</sup> **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., „პლპ“, 2002, გვ. 334-335; **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 32.

<sup>43</sup> **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 38 (ასეთივე აზრი აქვს გატარებული პროფ. **ვ. პაპავას** თავის ცნობილ ნაშრომში „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა.“ თბ., „პლპ“, 2002, გვ. 334.

<sup>44</sup> **Гэлбрейт Дж. К.** Экономические теории и цели общества. Перевод с английского. М., "Прогресс", 1979, с. 270.

დგენაც კი არ ჰქონდათ საბაზრო ეკონომიკაზე, რა ფუნქციებს ასრულებდა საქართველოს ხელისუფლებაში? ეს პერიოდი ნამდვილად არ იყო „სავარძელში ნებივრობის“ დრო! სასაქონლო დეფიციტთან ერთად, აშკარად იგრძნობოდა რეფორმისტული სულისკვეთებით გამსჭვალულ ადამიანთა დეფიციტიც.

საზოგადოება წააწყდა ბევრ ისეთ პრობლემას, რომლებიც უცხო იყო მისთვის, მაგრამ კარგად ცნობილი დასავლეთის ქვეყნებისათვის. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებას თავისებური დალი დაასვა მსოფლიო ეკონომიკური აზროვნებისაგან ფაქტობრივმა მოწყვეტამ, რკინის ფარდის მიღმა საინფორმაციო ვაკუუმში ყოფნამ. ეკონომიკური ქაოსისაგან ორგანიზებული ეკონომიკური სისტემის შექმნა სპეციალურ ცოდნასა და პროფესიონალიზმს საჭიროებდა. ამიტომ საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის სწრაფ დაუფლებაზე ბევრად იყო დამოკიდებული ქვეყნის ბედი, რისთვისაც ამ პერიოდში არ არსებობდა სათანადო პირობები. ცოდნის იმ მარაგით კი, რომელიც ჰქონდა საზოგადოებას, შეუძლებელი და სარისკო საქმე იყო საბაზრო ურთიერთობების რთულ ლაბირინთებში გზის გაკვლევა.

ეკონომიკური რეფორმების წარუმატებელი სტარტის ერთ-ერთი მიზეზი სოციალური და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების გამწვავებაც იყო. სხვადასხვა ჯურის სეპარატიზმმა, შიგა სამოქალაქო და ავტონომიებთან ტერიტორიულმა კონფლიქტებმა აუნახლაურებელი ზარალი მიაყენა ეროვნულ ეკონომიკას. **არც ერთ ქვეყანას არ დაუწყია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ეკონომიკის ისეთი ნგრევის პირობებში, როგორც საქართველოში მოხდა.** მართო აფხაზეთის ტერიტორიაზე ომის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი 9 მლრდ ლარს აღემატება. ამავე პერიოდში სამეგრელოში საომარი მოქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი 78 მლნ ლარს აღწევს, ხოლო თბილისში – 33 მლნ ლარს.<sup>45</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო არ თმობდა საბჭოურ მენტალიტეტზე აგებულ პოზიციებს, ინარჩუნებდა ტექნოლოგიურად

---

<sup>45</sup> საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. თბ., 1996, 41.

უპერსპექტივო საწარმოებსა და თანამედროვე მოთხოვნების საპირისპირო წარმოების სტრუქტურას, რითაც, შეიძლება ითქვას, აკონსერვებდა ეკონომიკას. ასეთ სიტუაციაში ჰიპერტროფირებული მონოპოლიზმისა და დეფიციტის დაძლევის პრობლემა მთელი სივრცე-სივრცით დადგა. მაგრამ ამისათვის არც პოლიტიკური ნება იყო და არც ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებაზე აგებული ერთიანი სტრატეგიული პროგრამა, რომელთა არარსებობა კიდევ უფრო ართულებდა ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობების ფორმირებას. არადა, ადმინისტრაციული გზით საბაზრო ურთიერთობების ელემენტების შემოღება არ ნიშნავდა ბაზარზე გადასვლას. **პროდუქციის უკიდურესი დეფიციტის პირობებში ფასების ლიბერალიზაცია ეკონომიკის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის უკიდურეს ფორმად მოგვევლინა.** იგი მძიმე ტვირთად დააწვა საზოგადოებას. აი როგორ შეაფასა ეს მოვლენა ამერიკელმა პროფესორმა ა. ივანოვმა: „საბაზრო ეკონომიკისაკენ გზის გაკვლევა სასაქონლო ფარის დეფიციტის პირობებში თვითმკვლევლობაა... ეს იგივეა, ავადმყოფს გაუკეთო გულის ოპერაცია ანესთეზიის გარეშე. იგი ხომ ტკივილებისგან შოკში ჩავარდება და საოპერაციო მაგიდაზე დაილუპება.“<sup>46</sup>

საქართველოში, მართალია, რადიკალური რეფორმა ფასწარმო-ქმნაში 1992 წლის 1 თებერვლიდან განხორციელდა, მაგრამ თავისუფალი ფასები ზოგიერთი სახეობის საქონელზე პირველად შემოღებულ იქნა 1991 წლის გაზაფხულზე. თუ 1991 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსი 180%-ს შეადგენდა, 1992 წელს ეს მაჩვენებელი 25-ჯერ, 1993 წელს – 92-ჯერ, ხოლო 1994 წელს – 120-ჯერ გაიზარდა. მნიშვნელოვნად გადიდა რეგულირებადი სამომხმარებლო ფასებიც. 1992 წელს, 1991 წელთან შედარებით, იგი 68-ჯერ გაიზარდა, მაშინ როდესაც მოსახლეობის ფულადი შემოსავლები მხოლოდ 3,4-ჯერ გადიდა.<sup>47</sup>

ნიშანდობლივია, რომ ფასების ამგვარს არ მოჰყოლია შესაბამისი საბაზრო ქცევა – წარმოებისა და, აქედან გამომდინარე, მიწოდების გაზრდა, პირიქით, ამ პროცესმა უკუპროპორციული გავლენა

---

<sup>46</sup> "Аргументы и факты," № 23, 1991.

<sup>47</sup> საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. თბ., 1996, 15.

მოახდინა მასზე. ბაზრის გარეშე საბაზრო ინსტრუმენტების დამანგრეველმა მოქმედებამ წარმოების მკვეთრი შემცირება გამოიწვია, შეიძლება ითქვას, ჩაკლა წარმოება. თუ 1989 წელს წარმოების ვარდნა, წინა წელთან შედარებით, 4,8%-ს შეადგენდა, 1990 წელს მან შეადგინა 12%, 1991 წელს – 20,6, 1992 წელს – 44,8, 1993 წელს – 25,4, 1994 წელს – 11,3%.<sup>48</sup> მკვეთრად შემცირდა მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა. 1995 წელს იგი 1990 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 27,3% იყო. ამრიგად, 1990-1995 წლებში საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტი 3,6-ჯერ და მეტად შემცირდა. ასეთ პირობებში ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებამ (რომელიც არ ჯდებოდა კლასიკურ სქემაში) მთელი ეკონომიკის მოშლა გამოიწვია. ამასთან, გაუარესდა კრიმინალური სიტუაცია, რასაც ეკონომიკის ძარცვა მოჰყვა.

1993 წლის გაზაფხულზე საქართველოში ფულადი ერთეულის სუროგატის – კუპონის შემოღება სრულიად მოუძახდებლად მოხდა და იძულებითი ნაბიჯიც იყო, ვინაიდან ქვეყანა დარჩა ფულადი ერთეულის გარეშე რუსეთიდან რუსული ფულის ბანკნოტების მოუწოდებლობის გამო. ეს სუსტი, შეუქცევადი და ჩაკეტილი მიმოქცევის საშუალება იმთავითვე, ფაქტობრივად, ამოვარდნილი იყო ეკონომიკიდან. დიდ მტკიცებას არ საჭიროებს ამ დროს საქართველოში არსებული ნაკლებწარმოების კრიზისის სიღრმე: წარმოების ტემპების სწრაფი დაცემა, სასაქონლო დეფიციტის მკვეთრი გამწვავება და ფულადი მასის დაუსაქონლება, ფასების სწრაფი ზრდა და ინფლაციის მაღალი ტემპი, სახელმწიფო რეგულირების სისუსტე, ფულადი მიმოქცევის უკონტროლობა, საბიუჯეტო დეფიციტის სწრაფი გადიდება, იატაკქვეშა მევანშეობის ფართოდ გაშლა, უმუშევრობის სწრაფი ზრდა, მაფიური კლანების პარპაში, უაღრესად დაბალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კვალიფიციური კადრების მკვეთრი დეფიციტი, დათრგუნულ მეწარმეთა ემიგრაცია, ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობების გამწვავება, აღრიცხვისა და კონტროლის, საანგარიშგებო დისციპლინის მოშლა, კვაზისაბაზრო სტრუქტურებისა და ურთი-

---

<sup>48</sup> **ასათიანი რ.** პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბ., საგამომცემლო ფირმა „იახალე“, 2005, გვ. 199.

ერთობების ჩამოყალიბება. კუპონი, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სწრაფად უფასურდებოდა. კუპონის ზღვარს გადასულმა ემისიამ ქვეყანა ჰიპერინფლაციამდე მიიყვანა. 1993 წლის მეორე ნახევრიდან ინფლაციის ტემპი თვეში 60-70%-ს შეადგენდა, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 7587,9%-ს მიაღწია. ეს იყო სამომხმარებლო ფასების ზრდის პიკი. 1993 წლის ბოლოს ჭეხნებადი ინფლაციური პროცესები ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა.

1993-1994 წლებში ქვეყანას დამტკიცებული ბიუჯეტი არ ჰქონდა. 1994 წლის შემოდგომაზე 1 აშშ დოლარი ოფიციალურად 2,5 მლნ კუპონი ღირდა, ხოლო გადასაცვლელი კურსი, ფაქტობრივად, 5,4 მლნ კუპონს აღწევდა. ამავე წელს ინფლაციის დონე 7380%-ს შეადგენდა. მოსახლეობა გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა. საშუალო ხელფასი თვეში 1,5 აშშ დოლარის, ხოლო პენსია – 10 აშშ ცენტის ეკვივალენტი იყო! პარალელურად სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი იზრდებოდა, ოქროს რეზერვი მცირდებოდა, იმპორტზე ქვეყნის შიგა მოთხოვნა დიდდებოდა, საგადასახდელი ბალანსის სტრუქტურა უარესდებოდა და ა.შ. ამასთან, საფუძველი ჩაეყარა ეროვნული ბანკის კრედიტებით ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის მანეჟრული პრაქტიკას.

გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკა პარალიზებული აღმოჩნდა იმ დამანგრეველი ზემოქმედებით, რომელიც გამოიწვია ომმა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. ქვეყანაში გაჩნდა დევნილთა მთელი არმია, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა ეკონომიკას. ამასთან, სწრაფად განვითარდა „შავი ბაზარი“, რომელმაც ფაქტობრივად იტვირთა მოსახლეობის ბიოლოგიური არსებობის პრობლემის გადაჭრა.

1994 წლის დასაწყისში მიღებულ იქნა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა. თვისებრივად ახალ დონეზე განახლდა თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. დიდი იყო მათი ფინანსური მხარდაჭერა სტაბილიზაციის პროგრამების მიღებასა და განხორციელებაში. 1994 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო მწვავე კრიზისული პროცესების მაჩვენებელთა ზრდის ტემპების შენელება. 1995 წლიდან საქართველოს უკვე ჰქონდა პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი.

1994 წლის ბოლოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მკაცრი



ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რამაც შესაძლებელი გახადა ჰიპერინფლაციის მოთოკვა და ობიექტური წინაპირობები შექმნა ფულის რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის. ამ პერიოდში წლიური ინფლაცია 50%-ს მცირედით აღემატებოდა.

ცნობილი ქართველი მეცნიერი **ვლადიმერ პაპავა** ჯერ კიდევ 1989 წელს წერდა: „საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა ეროვნული ქართული ვალუტის გარეშე დღეს ძნელად თუ იქნება ვინმესთვის მისაღები. ეს კი გამოწვეულია არა მარტო ემოციებით, არამედ იმის რეალური გააზრებითაც, რომ ფული არის ქმედითი საშუალება ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად... მიმოქცევაში უნდა გამოვიდეს საქართველოს საკუთარი ვალუტა – თეთრი“.<sup>49</sup>

1995 წლის შემოდგომაზე შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი (ხოლო თეთრი დაერქვა ლითონის ხურდა ფულს), რომელიც გამოცხადდა ერთადერთ საგადასხდელო საშუალებად. დოლართან მიმართებაში მისი გადასაცვლელი კურსი იყო 1 აშშ დოლარი 1,3 ლართან. წარმოების დაცემა, ხუთწლიანი ეკონომიკური ვარდნა შეჩერდა. ამავე წელს აღინიშნა ნულოვანი ზრდა – 0,4%-ის ფარგლებში.

1995 წლის ბოლოდან საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში მოხდა არსებითი ცვლილებები და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „მოკური“ გზა ორთოდოქსული მოდელით შეიცვალა. ამით საქართველოში დაიწყო ეკონომიკური რეფორმების **II ეტაპი**. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ეს მიმართულება ამ პერიოდიდან საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. ამ მოდელს საოცრად მიესადაგება საქართველოს ეკონომიკაში შემდგომ განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები და პროცესები. კერძოდ, დაიწყო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება მკაცრი ფისკალური პოლიტიკის გატარებით, რაც გადასახადების გადიდებაში, საგადასახადო შეღავათების, სახელმწიფო სოციალური ხარჯების, სახელმწიფო ტრანსფერების, სუბსიდიებისა და ა.შ. შემცირებაში გამოიხატა. მკაცრ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას მოჰყვა ფუ-

---

<sup>49</sup> „კომუნისტი“, 24 ოქტომბერი, 1989; **პაპავა ვ.** საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე. თბ., „მეცნიერება“, 1995, გვ. 58, 60.

ლად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებაც, რაც „ძვირი ფულის“ პოლიტიკაში აისახა. მისი უმთავრესი მიზანი ფულის მიწოდების მკვეთრი შეზღუდვით ინფლაციის მოთოკვა და ლარის კურსის სტაბილიზაცია იყო. გატარებული ორგანიზაციული და ეკონომიკური ზომების შედეგად დარეგულირდა ინფლაციური პროცესები. 1996 წელს ინფლაციამ 13,5% შეადგინა.

1996-1997 წლებში საქართველოში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი და ინფლაციის ზომიერი დონე დაფიქსირდა. მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა საშუალოდ 11%-ით გაიზარდა, მაგრამ რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორების უარყოფითი მოქმედების შედეგად 1998 წელს, 1997 წელთან შედარებით, მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპი 2,9%-ით დაეცა.

საქართველოში საბიუჯეტო კრიზისი პრაქტიკულად 1998 წლის პირველ ნახევარში დაიწყო. „ძვირი ფულის“ პოლიტიკამ (მოკლევადიანი ეფექტის შემდეგ ისიც თავისებური შოკი აღმოჩნდა) წარმოქმნა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორცაა დაბალი საინვესტიციო და საქმიანი აქტიურობა, გადაუხდელობის კრიზისის გაღრმავება, საგადასახადო ბაზის შეკვეცა, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება და ა.შ. ყოველივე ეს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მკვეთრ შემცირებაში გამოიხატა. საქართველო პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილზე აღმოჩნდა მთლიან შიგა პროდუქტში ექსპორტის წილის მიხედვით, რაც დაახლოებით 3%-ს შეადგენდა. ამ პერიოდში უმოქმედო საწარმოთა რიცხვმა 80%-ს მიაღწია.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ როდესაც მთავრობამ, ჰიპერინფლაციის დაძლევის შემდეგ, შეინარჩუნა ინფლაციის დათრგუნვის კურსი, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად აქცენტი საგარეო ვალზე გააკეთა. საგარეო ვალის გაზრდამ (მისი წილი მთლიან შიგა პროდუქტში ზღვრულ ნორმას – 60%-ს აღემატებოდა) საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდ დამოკიდებული გახადა მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციებზე და, საერთოდ, მსოფლიო ფინანსური ბაზრების კონიუნქტურაზე, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო ხარჯების არარაციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ამასთან, საგარეოს დაემატა ქვეყნის შიგა ვალიც, ამიტომ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, ძირითადად

ვალების გასტუმრებაზე იქნა აგებული. ეს იყო საგარეო ვალის მომსახურება, აგრეთვე ხელფასებისა და პენსიების მიმდინარე და ძველი ვალების გასტუმრება. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში საქართველოში პენსიას იღებდა დაახლოებით 900 ათასი ადამიანი. 14-ლარიანი პენსიის დასარიგებლად წლიურად საჭირო იყო 151 200 ათასი ლარი. ამას ემატებოდა 55 მლნ ლარი დევნილთა დასახმარებლად. სულ წლიურად 200 მლნ-ზე მეტი ლარი იყო საჭირო მხოლოდ ამ მუხლით. გარდა ამისა, ამ თანხას ემატებოდა აგრეთვე საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელფასები და საგარეო ვალის მომსახურება.

ინფლაციის დათრგუნვას უნდა შეექმნა პირობები ეკონომიკაში ინვესტირების გადიდებისათვის, მაგრამ მან მხოლოდ ინფლაციის დაბუნრუჭების მოკლევადიანი ეფექტი მოგვცა, „ხანძრის ჩაქრობის“ ეფექტი უფრო გამოიწვია, ვიდრე ეკონომიკის განვითარება. ამის გამო, თანდათან შეუძლებელი გახდა ინფლაციური პროცესების ხანგრძლივი დროით შეკავება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეროვნული ვალუტისა და ფასების რეალური სიმყარე დამოკიდებულია არა მთავრობის მონეტარულ მანიპულაციაზე, არამედ ეროვნულ წარმოებაზე. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია: ეკონომიკის კონვერსიის 12-წლიანი რეფორმირების შემდეგ, 1990 წელს წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტის ნახევარსაც კი ვერ ვაწარმოებდით. ამასთან, თუ 1990 წელს საქართველოს ეროვნული სიმდიდრე 655 მლრდ დოლარს შეადგენდა, 2000 წლისათვის იგი 388 მლრდ-მდე შემცირდა, ე.ი. დანაკარგმა 40,8% შეადგინა.<sup>50</sup>

ბანკები ფაქტობრივად იზოლირებული აღმოჩნდნენ საინვესტიციო საქმიანობისაგან, ვინაიდან მაღალი საპროცენტო განაკვეთი და დაბალი ერთობლივი მოთხოვნა ზღუდავდა მემწარმეობას. ცხოვრების ნორმად იქცა კორუფცია, ფართოდ მოიკიდა ფეხი კონტრაბანდამ, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ჩიხში მოაქცია ადგილობრივი წარმოება. კაპიტალმა ეროვნული წარმოების ნაცვლად გეზი საზღვარგარეთისკენ აიღო. მაღალი იყო სამეწარმეო რისკი, პარალიზებული – უნაღლო ანგარიშსწორება. სამაგიეროდ არნახულ მაშტაბებს მიაღწია

---

<sup>50</sup> არჩაბე ი. რა ფერისაა მილიარდი? თბ., „მერკური“, 2002, გვ. 21.

ფარულმა ეკონომიკამ, რომელმაც 60%-ს გადააჭარბა, თუმცა, ზოგიერთ დარგში (მაგალითად, ჯანდაცვაში) 75-85%-საც კი მიაღწია. ქართულ ეკონომიკურ პოლიტიკაში თავი იჩინა დავიანების ეფექტმა, გაჩნდა ლავი. ქვეყანამ მიზნობრივად ვერ გამოიყენა ის შეღავათიანი კრედიტები და გრანტები, რომლებიც თითქმის უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა საქართველოში. ეს და სხვა ნეგატიური ფაქტორები ხელს უშლიდა ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასა და პროგრესს.

**ვერ დავასახელებთ ქვეყანას, რომელსაც „ძვირი ფულის“ პოლიტიკით დაედწია თავი ეკონომიკური კრიზისისგან.** თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის **დეგლას ნორთის** აზრს, „ნეოკლასიკური თეორია არ არის მისაღები იარაღი ეკონომიკური განვითარების სწორი პოლიტიკის შესაქმნელად. ნეოკლასიკური თეორია წარმატებულია მაშინ, როდესაც ლაპარაკია ბაზრის ფუნქციონირებაზე და არა იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ბაზრის შექმნა და განვითარება.“<sup>51</sup>

საქართველოს სჭირდებოდა არა მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა (ისიც თავისებური შოკია), არამედ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ენდოგენური ფაქტორების ეფექტიანი გამოყენებით მიგვაანლოვებდა ცივილიზებულ ქვეყნებს. „ძვირი ფულის“ პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი, რაც საბიუჯეტო დაფინანსების მთელი სისტემის ნეგატიურ პროცესებში აისახა, ეკონომიკის არასტაბილურობისა და სტრუქტურული დეფორმაციის უმთავრესი მიზეზი გახდა. თანდათან ჩამოყალიბდა საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისი, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ეროვნული ბანკის კრედიტით დაფინანსების მავნე პრაქტიკა, სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებების იგნორირება და ბიუჯეტის ხშირი სეკვესტრირება დაემატა. ამ გარემოებამ დასცა ერთობლივი მოთხოვნა და უკიდურესად გამძვავა სოციალური პრობლემები. ჩამოყალიბდა ქონებრივად მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოება. მოსახლეობის 55% სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა.

ინფლაციასთან ბრძოლის მიზნით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა, ძირითადად, ფულის მიწოდებასა და კრედი-

---

<sup>51</sup> **North D.** Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge, “Cambridge University Press”, 1990, p. 17.

ტის მოცულობაზე ზემოქმედებით გამოიხატა. ბანკთაშორისი სარგებლის განაკვეთების აწევით, იგი, ფაქტობრივად, ზრდიდა საბანკო სესხებზე სარგებლის განაკვეთს, რითაც ამცირებდა ქვეყანაში ფულის მიწოდებას. ეს, მართალია, სუსტი ეკონომიკური ზრდის პირობებშიც კი ანელებს ინფლაციის ტემპებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ეკონომიკის ინვესტირებისა და საქმიანი აქტიურობის შეფერხებით, უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე. დაბალი მოთხოვნისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო, საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა, ფაქტობრივად, იზოლირებული აღმოჩნდა საინვესტიციო საქმიანობისაგან. ნეგატიური ფორმით გამოიკვეთა საზოგადოებრივ ფასეულობათა გადაფასება, წინა პლანზე დადგა კერძო ინტერესები. იგი მკვეთრად გაემიჯნა საზოგადოებრივს, მათ შორის წარმოიშვა კონფლიქტი, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი.

ასეთ პირობებში საგრძნობლად გაიზარდა ხელისუფლებისადმი უნდობლობა, რაც მრავალი პოზიტიური პროცესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი გახდა, სამაგიეროდ, გზა გაეხსნა ისეთ ნეგატიურ პროცესებს, როგორცაა დოლარიზაციის მასშტაბების გაფართოება, ექსპორტის მკვეთრი დაცემა, საგარეო ვალის მნიშვნელოვანი გადიდება, რომლის მოცულობის ზრდამ ქვეყნის დაკაბალების საფრთხე შექმნა და ა.შ.

ამრიგად, მცდარ მონეტარულ პოსტულატებზე დაყრდნობით, საქართველო კვლავ ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა.<sup>52</sup>

საქართველოში 2004 წლიდან დაიწყო რადიკალური რეფორმების III ეტაპი, რომელიც დღემდე გრძელდება. „ვარდების რევოლუცია“ შეფასდა როგორც ხალხის კონსტიტუციური უფლების დაცვის გამოხატულება და იგი გლობალიზაციის თავისებური გამოძახილიც იყო.

ცივილიზებულმა სამყარომ კვლავ მოიხედა საქართველოსკენ. რეფორმების გატარებაში მნიშვნელოვან დახმარებას ითვალისწინებს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა, აშშ-ის საერთა-

---

<sup>52</sup> **Асатиани Р.** Посткоммунистический переходный период в экономике Грузии. “Кавказ & глобализация”. Том 3 (2-3), “Ca&CC Press”, Швеция, 2009.

შორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „საქართველოს ბიზნეს-კლიმატის რეფორმის“ პროექტი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და სხვ. ყურადღება გამახვილდა ინსტიტუციურ გარდაქმნებზე, ადმინისტრაციული და საჯარო სამსახურის რეფორმირებაზე, საგადასახადო კოდექსის დახვეწასა და გამარტივებაზე, ფარული ეკონომიკისა და კორუფციის ფართო მასშტაბების ლიკვიდაციის ღონისძიებებზე და ა.შ. გამარტივდა ფირმების რეგისტრაციის პროცედურა, 2007 წელს მიღებულ იქნა ახალი საბაჟო კოდექსი, რომლის მიხედვითაც საბაჟო გადასახადების რაოდენობა შემცირდა 16-დან 3-მდე და ა.შ.

მიუხედავად რიგი პოზიტიური ნაბიჯებისა, საქართველოში კვლავ მწვავე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. უკიდურესად დაბალი მოთხოვნის პირობებში მწვავეა სოციალური სტრატეფიკაცია,\* ღრმავდება სოციალური პოლარიზაცია. ნიშანდობლივია,

---

\* საყურადღებოა ავსტრიელი ეკონომისტისა და სოციოლოგის **მაქს ვებერის** შეხედულება უთანაბრობის, სიღარიბისა და სოციალური დიფერენციაციის შესახებ. მან შეიმუშავა **სოციალური სტრატეფიკაციის თეორია**, რომელიც სწორედ საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის პრობლემას იკვლევს. სიღარიბე ყველგან არის, თუმცა მისი გამოიწვევი მიზეზები და ღონე განსხვავებულია. მთავარია, იგი სოციალურად ასატანი იყოს. საქართველოში სიღარიბე სწრაფად იზრდება, რეალური შემოსავლისა და სამუშაოს მიღების შესაძლებლობები კი კლებულობს.

დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **სოციალური დიფერენციაციის მოდელის** შესწავლა. არსებობს შემოსავლების დიფერენციაციის ოპტიმალური და ზღვრული დონეები. აქედან გამომდინარე, ოთხ მოდელს გამოყოფენ: ზებოლარულს, ზომიერად პოლარულს, ზომიერსა და ეგალიტარულს (არასბაზროს). **ზებოლარული მოდელისათვის** დამახასიათებელია ეკონომიკის დაბალი დონე, მოსახლეობის უმრავლესობის უკიდურესი სიღარიბე, ქონებრივი დიფერენციის მაღალი დონე. ასეთი საზოგადოებისათვის შემოსავლების დიფერენციაციის დონე უკიდურესად დეცილურ ჯგუფებს შორის შეადგენს არანაკლებ 20-30 : 1-თან. ამჟამად ეს მოდელი დამახასიათებელია მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის. **ზომიერად პოლარული მოდელი** წარმოიშვა XX საუკუნის პირველ ნახევარში და უკავშირდება სოციალური რეგულირების ელემენტების შემოტანას საზოგადოების განვითარებაში. ასეთი მოდელისათვის შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი არის 10-15 : 1-თან. ზომიერად პოლარული მოდელი არსებობდა ინდუსტრიულ საზოგადოებაში და ამჟამად იგი დამახასიათებელია ახალი ინდუსტრიული ქვეყნებისათვის. განვითარებულ ქვეყნებში ამჟამად არსებ-

რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სიღარიბის მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნების ჩამონათვალში საქართველო 24-ე ადგილზეა. არსებული პენსია (მიუხედავად მისი ზრდის ტენდენციისა), საარსებო მინიმუმის 1/3-საც კი ვერ ფარავს, ხოლო მინიმალური ხელფასის ოფიციალური დონე აშშ-ის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 6,4%-ს შეადგენს.<sup>53</sup>

2008 წლის მონაცემებით, საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტი საშუალო მსოფლიო დონ-

---

ობს **ზომიერი მოდელი**, რომლისთვისაც ნიშანდობლივია საერთო კეთილდღეობის ზრდა და კონსოლიდირებული სოციალური დიფერენციაცია. ამ მოდელის მქონე ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის მიხედვით. პირველი არის ლიბერალური საზოგადოებები, რომლებმაც მიაღწიეს ეკონომიკური ზრდის უმაღლეს დონეს და ამიტომ შეუძლიათ გამოიყონ სოლიდური სახსრები ღარიბების დასახმარებლად, ჯანდაცვის დაფინანსებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის. ასეთი საზოგადოების ყველაზე მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს აშშ (აგრეთვე, კანადა). ამის საწინააღმდეგოდ დასავლეთევროპული ქვეყნები, რომლებიც აბსოლუტური მაჩვენებლებით ჩამორჩებიან აშშ-ს, ხასიათდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით. მათი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები მიმართულია სოციალური თანხმობის მიღწევასა და მოსახლეობის საშუალო ფენის გაძლიერებისაკენ. სოციალური დიფერენციაციის მეოთხე მოდელი – **არასაბაზრო, ეგალიტარული მოდელი** არსებობდა ექსკომუნისტურ ქვეყნებში, რეფორმამდელ ჩინეთში, ხოლო ამჟამად არსებობს კუბასა და კორეის სახალხო რესპუბლიკაში. ეს მოდელი აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, თუმცა მისთვის დამახასიათებელია შემოსავლების დიფერენციაციის მეტად მიმზიდველი დონე – 4 : 1-თან.

დღეს მსოფლიოში გაბატონებულია სოციალური დიფერენციაციის ზომიერი მოდელი. მაღალ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, მისთვის დამახასიათებელმა სოციალურობის გაძლიერების ტენდენციამ კანონზომიერი ხასიათი მიიღო, თუმცა ამერიკულ საბაზრო ეკონომიკას განასხვავებს გერმანული (და არა მხოლოდ გერმანულ, იგი დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებსაც აერთიანებს) საბაზრო ეკონომიკისაგან.

ამ მოდელის მოკლე მიმოხილვა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: **საქართველოსთვის დამახასიათებელია ზეპოლარული მოდელი**. ძალზე მაღალია შემოსავლების უთანაბრობის, სოციალური დიფერენციაციის ხარისხი. იგი ძირითადი პარამეტრებით ამ მოდელში თავსდება.

<sup>53</sup> <http://www.bls.gov/data>

ის მხოლოდ 35%-ს შეადგენდა და 3 ათას დოლარს აღწევდა.<sup>54</sup>

საქართველოში ყველაფერი იყიდება, მათ შორის ბუნებრივი რესურსებიც, ყოველგვარი სამომავლო შესაძლებლობების თუ უარყოფითი გარე ეფექტების გაუთვალისწინებლად, რასაც არაფერი აქვს საერთო ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან. პრივატიზაცია ქვეყნის საზინის შევსების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა, ინფლაცია კი შთანთქავს მთლიანი შიგა პროდუქტის გარკვეულ ნაწილს, იზრდება უმუშევრობა, ლატაკდება მოსახლეობა. თუ 2003 წელს მცირე ბიზნესის წილი ქვეყნის სამეწარმეო სექტორის მთლიან გამოშვებაში 9,4%-ს შეადგენდა, 2009 წელს 6,6% შეადგინა, რითაც 6-ჯერ ჩამორჩება შესაბამის ევროპულ მაჩვენებელს (40%). საშუალო ბიზნესის წილი აღნიშნულ წლებში, შესაბამისად, შეადგენდა 11,2 და 9,2%-ს, შედარებისთვის ევროკავშირში – 18%-ს. სამაგიეროდ, მსხვილი ბიზნესის წილი 2003-2009 წლებში 79,4%-დან 84,3%-მდე გაიზარდა და 2-ჯერ აღემატება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს (42%).<sup>55</sup> საქართველოში დაბალშემოსავლიან ადამიანთა რაოდენობამ 2,4 მლნ-ს მიაღწია. ქვეყნიდან გარბის უპირატესად შრომისუნარიან ასაკში მყოფი სამუშაო ძალა. უკვე მიგრირებულია 1,6 მლნ საქართველოს მოქალაქე, აქედან, უცხო ქვეყნის მოქალაქეობა აქვს მიღებული 1 მლნ-ს.

საქართველო გამოირჩევა დანაზოგების ძალზე დაბალი დონით და ამ მაჩვენებლის მიხედვით განიხილება საპარის სამხრეთით მდებარე განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში.<sup>56</sup> ამიტომ, ვინაიდან დეპოზიტების ბაზა საკმარისი არ იყო ეროვნული ეკონომიკის სესხებით უზრუნველყოფისათვის, ეს ართულებდა სიტუაციას და ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით ბანკები ახერხებდნენ საგარეო ბაზრებიდან

---

<sup>54</sup> www.statistics.ge (სექცია „ეროვნული ანგარიშები“); Human Development Report 2007/2008, pp. 277-280.

<sup>55</sup> www.statistics.ge (სექცია „სამეწარმეო სფერო“); Eurostat Newsrelease, №47, 8 April, 2008.

<sup>56</sup> **კორდონიე კ.** კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. ოქტომბერი, 2008.



სესხების მოზიდვას. ამ კამპანიამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ **უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გახდა არა ქვეყნის შიგა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყარო, არამედ, შეიძლება ითქვას, ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელ ძალად გადაიქცა.**

საქართველოს საბანკო სისტემას სერიოზული პრობლემები 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე გაუჩნდა. თუმცა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა არსებული ბზარი კიდევ უფრო გააღრმავა და აშკარა გახდა. შემთხვევით არ იყო, რომ ქვეყნის საბანკო სექტორმა 2008 წელი 215 მლნ ლარის ზარალით დაასრულა.

2008 წელს საქართველოში საბანკო სესხების ოდენობის მთლიან შიგა პროდუქტთან შეფარდების მაჩვენებელი კატასტროფულად დაბალი იყო და იგი 31%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც საშუალო ევროპული მაჩვენებელი 200%-ის ფარგლებში მერყეობს<sup>57</sup>. გრძელვადიანი კრედიტების 20%-ზე მეტი იათოთეკურზე მოდიოდა. მშენებლობის გრძელვადიანი დაკრედიტება იმპორტის დაფინანსებას უწყობდა ხელს და არა წარმოების განვითარებას. სამშენებლო კომპანიების საკუთრებაში ან ჯერ მხოლოდ „ჰაერში“ არსებული ბინების უმეტესობა კრედიტით იყიდებოდა. დეველოპერების უმრავლესობა ფულს ბანკებიდან სესხულობდა. სამომხმარებლო ბაზარზე საბანკო სექტორის მზარდი აქტიურობა მათი მხრიდან სერიოზულ რისკებს უკავშირდებოდა, რასაც უძთავრესად მოსახლეობის არასტაბილური და დაბალი შემოსავალი განაპირობებდა. ამასთან, მაღალი იყო ბანკების ლიკვიდურობის რისკი. მის გადაფარვას ბანკები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო ხაზების მეშვეობით ცდილობდნენ. 2007 წელს მათი მოცულობა 127%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც დეპოზიტების მოცულობა – მხოლოდ 55%-ით. ჩამოყალიბდა ლიკვიდურობის კრიზისი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებიდან საკრედიტო რესურსების შემდგომ მოზიდვას ართულებდა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საბანკო სექტორში გა-

---

<sup>57</sup> **კორდონიე კ.** კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. ოქტომბერი, 2008, გვ. 62.

ნთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობა 3,1 მლრდ ლარიდან 2,7 მლრდ ლარამდე შემცირდა, საბანკო პროდუქტებზე მოთხოვნა მკვეთრად დაეცა. ამ პერიოდისთვის კვლავ მაღალი იყო უცხოური ვალუტის წილი დეპოზიტების მთლიან მოცულობაში და 84,8%-ს შეადგენდა.

საქართველოს ბანკებმა დიდი ზარალი ინვესტირების მხრივაც განიცადეს. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, მთლიანი ინვესტიციების მოცულობა 37%-ით შემცირდა და მხოლოდ 73,6 მლნ დოლარი შეადგინა<sup>58</sup>. პრაქტიკულად არ მუშაობდა გრძელვადიანი დაზოგვის მექანიზმი. დეპოზიტებიდან ერთ თვემდე დეპოზიტების რაოდენობა დეპოზიტების მთლიანი რაოდენობის 99%-ს შეადგენდა. განსაკუთრებით დიდი შეუსაბამობა იყო დეპოზიტებისა და სესხების საშუალო სიდიდეებს შორის. საშუალო სესხი საშუალო დეპოზიტს თითქმის სამჯერ აღემატებოდა.

საქართველოს საბანკო სისტემაში შექმნილ რთულ მდგომარეობას ხელი შეუწყო მსოფლიოში საკმაოდ აპრობირებული დეპოზიტების დაზღვევის ინსტიტუტის არარსებობამ. **საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა, მაშინ როდესაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა მთელი ძალისხმევა მიმართულიყო ქვეყნის შიგნით დანაზოგების მობილიზების ალტერნატიული საშუალებების წარმოქმნაზე.**

როგორც „ღია საზოგადოება საქართველოსა“ და „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ ექსპერტები სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ, უცხოური ინვესტიციები უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ქვეყნის შიგა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყარო და არა ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა. ასეთმა პოლიტიკამ დადებითთან ერთად, გამოავლინა უაღრესად უარყოფითი გარე ეფექტი, რაც, პირველ ყოვლისა, გამოიხატა საქართველოს შიგა დანაზოგების დეფიციტში. ამასთან, საბანკო სისტემა, რომელიც დამოკიდებულია კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების დინამიკაზე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შიგა მოთხოვნის უზრუნველსაყო-

---

<sup>58</sup> [www.mbg.ge/uploads/depositarycorporeshen\\_qartulad/assets\\_liabilities\\_of\\_commercial\\_banks\\_totalgeo.xls](http://www.mbg.ge/uploads/depositarycorporeshen_qartulad/assets_liabilities_of_commercial_banks_totalgeo.xls)

ფად საემარისი რაოდენობის სასესხო კაპიტალს არ ფლობს. ეს, ბუნებრივია, ნეგატიურად აისახება ეკონომიკურ საქმიანობაზე, ქვეყნის რეალურ სექტორზე და, მრავალ სხვა უარყოფით გარე ეფექტთან ერთად, განაპირობებს საქართველოს საქსპორტო პოტენციალის საბანკო დაფინანსების გარეშე დატოვებას<sup>59</sup>.

არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გავლენით საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემა ვერ ჩამოყალიბდა ისეთ მდგრად ინსტიტუტად, რომელიც გაართმევდა თავს ქვეყანაში კაპიტალის ქრონიკულ უკმარისობას და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის დაბალ ტემპებთან დაკავშირებულ მწვავე პრობლემას. ეს მოსაზრება არ არის მხოლოდ ავტორისეული, ასეთ დასკვნებს ადგილობრივი თუ უცხოელი ექსპერტებიც აკეთებენ.<sup>60</sup>

საქართველო ისევ ახალი ეკონომიკური ექსპერიმენტის მსხვერპლი აღმოჩნდა. ამიტომაცაა, რომ თითქმის ორი ათეული წელია, რაც ეროვნული ეკონომიკა „ბუქსაობს“, სულ უფრო და უფრო იღებს დეფორმაციულ ფორმას და ქვეყანა ნელ-ნელა კარგავს ოდითგან უფლისგან მინიჭებულ მეწარმეობის დიდ უნარსა და გამოცდილებას.

ერის მამა ილია ჭავჭავაძე გვახსენებს: „...აქამომდე მივიწყებულს ეკონომიკურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, რომ ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა...“ ეს შეგონება დღესაც აქტუალურია.

---

<sup>59</sup> საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა კოალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში. თბ., თებერვალი, 2009, გვ. 12;

<sup>60</sup> კორდონიე კ. კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. ოქტომბერი, 2008, გვ. 63-64; საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა კოალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში. თბ., თებერვალი, 2009, გვ. 12.

## დასკვნა

ამრიგად, გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიო განვითარების მნიშვნელოვანი ტენდენციაა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინტეგრაციის გაღრმავების საფუძველზე კანონზომიერი ხასიათი მიიღო. იგი, თავისი არსით, უნივერსალურია და, პირველ ყოვლისა, მსოფლიოს ახალი წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში პოვნებს ასახვას.

ეკონომიკური თეორიის გენეზისმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაში, ხოლო ამ უკანასკნელმა საფუძველი ჩაუყარა გლობალური პროცესების დაჩქარებასა და გლობალიზაციის პოზიტიური მიმართულებით განვითარებას. თუმცა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებით, გლობალიზაციის რიგმა ნეგატიურმა ეფექტებმაც იჩინა თავი, რამაც კითხვის ქვეშ დააყენა ეკონომიკური თეორიის „მეინსტრუმიცა“ და თვით გლობალიზაციის ეპოქალური მოვლენაც. ამასთან, **თანამედროვე მსოფლიოს ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია მონეტარიზმის „ინტელექტუალური კოლაფსი“<sup>61</sup> და თვით აშშ-შიც კითხვის ქვეშ დააყენა ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა.**

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში გაბატონებული ნიჰილისტური შეხედულება კეინზიანიზმის მიმართ, რომ კეინზიანიური ერა (ანუ ის, რომ ეკონომიკური განვითარების ათვლის წერტილი მოსახლეობის მოთხოვნის, მსყიდველობითი უნარის გაზრდით იწყება, რასაც ბაზრის ტევადობის, წარმოების გაფართოებისა და უძუშევრობის შემცირება მოჰყვება) დასრულდა, გადასინჯვა მოითხოვა. თანამედროვე გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა აიძულა ცივილიზებული სამყარო, ისევ შემობრუნებულიყო მისკენ.

**მოკლედ, მილტონ ფრიდმენმა შეცვალა ჯონ მეინარდ კეინზის**

---

<sup>61</sup> კრუგმანი პ. როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, 10, გვ. 81.

ფილოსოფია, ამ უკანასკნელმა კი ადამ სმითის ფილოსოფია. დღეს მსოფლიო, ახალი გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, მილთონ ფრიდმენის ფილოსოფიის შეცვლის მოლოდინშია, რომლის კონტურები უკვე გამოიკვეთა და ამ ცვლილების გარეშე გართულდება მსოფლიო ფინანსური კრიზისიდან თავის დაღწევა, რომელმაც სათავე სწორედ ფრიდმენის სამშობლოში – აშშ-ში აიღო.

გლობალიზაციის პროცესი მკვეთრად დიფერენცირებულია, ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებით, რომლებიც უპირატესად თავს იჩენს ტრანზიტულ ქვეყნებში. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი, რომელიც დღეს მრავალი რთული პრობლემის წინაშე დგას.

კლასიკური ფორმით ეკონომიკური ზრდის არც ერთი მოდელი არ გამოუყენებია საქართველოს. ეკონომიკის განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო ის უცხოური რეკომენდაციები, რომლებიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზიც სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ, ხოლო მისი აღმავლობის საწინდარი გადატაკებული მკვიდრი მოსახლეობის გადახდისუნარიანობის, მსყიდველობითი ძალის ამალღებაშია. ამისათვის კი დროა საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის მესვეურებმა გაითვალისწინონ მსოფლიოში საკმაოდ აპრობირებული გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ლავის ფაქტორი დიდი ხანია (საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან დღემდე) მოქმედებს, იქნებ მაინც შევძლოთ კეინზიანური თეორიის და, აქედან გამომდინარე, „კეინზიანური რევილუციის“ პოსტულატების ჩართვა ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში. „ვგობს გვიან, ვინემ არასდროს“. გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის რეალური შესაძლებლობებიც სწორედ რელიგიურ ეთიკაზე აგებულ ამ ჰუმანურ თეორიაშია.

## გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო

### რეფერატი

მსოფლიოში მიმდინარე ღრმა სისტემური ტრანსფორმაციული პროცესები ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ეკონომიკურ თეორიას და წინა პლანზე წამოსწევს მის მნიშვნელობას კაცობრიობის პროგრესში.

ეკონომიკური თეორიის გენეზისმა, მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა გლობალიზაციის პოზიტიური მიმართულებით განვითარებას, თუმცა, რიგმა ნეგატიურმა ეფექტებმაც იჩინა თავი, რამაც კითხვის ქვეშ დააყენა ეკონომიკური თეორიის „მეინსტრუქცია“ და თვით გლობალიზაციის ეპოქალური მოვლენაც.

მიღწონ ფრიდმენის მონეტარული თეორიის ნაკლოვანებები ბოლო პერიოდში აისახა მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში. გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ მაკროეკონომიკური რეგულირების (კერძოდ, საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების) მკვეთრ შეზღუდვაში მდგომარეობს. ამასთან, ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ, თვითდინებაზე მიშვებამ და წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას და მსოფლიოს ფინანსური კრიზისისკენ უბიძგა. მან მეტ-ნაკლები ზომით ნებისმიერ ქვეყანაში პოვა ასახვა, რაც, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებასა და ერთობლივი მოთხოვნის დაცემაში გამოიხატა.

მონეტარიზმის „ინტელექტუალურმა კოლაფსმა“ კითხვის ქვეშ დააყენა ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა. ბოლო დროს ეკონომიკურ მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულება იმის შესახებ, რომ კეინზიანური ერა დასრულდა, უარყოფილი იქნა. წინა პლანზე ისევ კეინზიანური თეორიის პოსტულატებმა წამოიწია. ეს გამოიხატა

ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გააქტიურებაში, სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდასა და გადასახადების შემცირებაში, ბიზნესის ფინანსურ მხარდაჭერასა და ა.შ. დღეს მსოფლიო, გლობალური კრიზისის პირობებში, „ფრიდმენის ფილოსოფიის“ შეცვლის მოლოდინშია.

საქართველოს, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პოლიტიკაში, კლასიკური ფორმით ეკონომიკური ზრდის არც ერთი მოდელი არ გამოუყენებია. ქვეყნის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ. „კეინზიანური რეკოლუციიდან“ მოყოლებული არ არსებობს დღეს განვითარებული ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკის ტრანსფორმაციის პერიოდსა და კრიზისულ სიტუაციაში თავის ეკონომიკურ პოლიტიკაში არ გაეთვალისწინებინა ეკონომიკური ზრდის კეინზიანური მოდელი. საქართველოში კი არ იქნა იგი გამოყენებული. ვერ დავასახელებთ ქვეყანას, რომელსაც „ძვირი ფულის“ პოლიტიკით დაედწია თავი ეკონომიკური კრიზისისგან.

საქართველოში ეკონომიკის რეფორმირების I ეტაპზე (1991-1995 წწ.) ეკონომიკის შოკირების დამანგრეველი ეფექტების შემდეგ, II ეტაპზე (1996-2003 წწ.) „ძვირი ფულის“ პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი ეკონომიკის არასტაბილურობისა და სტრუქტურული დეფორმაციის უმთავრესი მიზეზი გახდა. თანდათან ჩამოყალიბდა საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისი, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ეროვნული ბანკის კრედიტით დაფინანსების მაწვე პრაქტიკა, სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებების იგნორირება და ბიუჯეტის ხშირი სეკვესტრირება დაემატა. ამ გარემოებამ დასცა ერთობლივი მოთხოვნა და უკიდურესად გაამწვავა სოციალური პრობლემები.

ინფლაციასთან ბრძოლის მიზნით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა, ძირითადად, ფულის მიწოდებისა და კრედიტის მოცულობაზე ზემოქმედებით გამოიხატა. ბანკთაშორისი სარგებლის განაკვეთების აწევით, იგი, ფაქტობრივად, ზრდიდა საბანკო სესხებზე სარგებლის განაკვეთს, რითაც ამცირებდა ქვეყანაში ფულის მიწოდებას. ეს, მართალია, სუსტი ეკონომიკური ზრდის პირობებშიც კი ანელებს ინფლაციის ტემპებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ეკონომიკის ინვესტირებისა და საქმიანი აქტიურობის შეფერხებით, უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე. დაბალი მოთხოვნისა

და მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო, საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა, ფაქტობრივად, იზოლირებული აღმოჩნდა საინვესტიციო საქმიანობისაგან. ამასთან, კაპიტალმა, ეროვნული წარმოების ამოქმედების ნაცვლად, გეზი საზღვარგარეთისკენ აიღო, ვინაიდან ადგილობრივი წარმოება არ შეიქმნა საიმედო და მომგებიანი მაღალი სამეწარმეო რისკისა და სხვა ნეგატიური ფაქტორების გამო.

საკუთრების მრავალფორმიანობის მიუხედავად, საქართველოში საკუთრების პლურალიზმი ვერ ჩამოყალიბდა. „ველური კაპიტალიზმი“ და დემოკრატიის განვითარება სრულიად შეუთავსებელი ცნებებია, ამიტომ ასეთ პირობებში საქართველო დემოკრატიული ვერასდროს გახდება.

არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გავლენით, საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემა ვერ ჩამოყალიბდა ისეთ მდგრად ინსტიტუტად, რომელიც გაართმევდა თავს ქვეყანაში კაპიტალის ქრონიკულ უკმარისობას და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის დაბალ ტემპებთან დაკავშირებულ მწვავე პრობლემებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი ეკონომიკის რეფორმირების I ეტაპზე ახორციელებდა ვაშინგტონის კონსენსუსის მიერ თავსმოხვეულ „იაფი ფულის“ პოლიტიკას, II ეტაპზე „ძვირი ფულის“ პოლიტიკას, ხოლო III ეტაპზე (2004 წლიდან) ახორციელებს ნეოლიბერალურ პოლიტიკას. არც ერთი ეტაპის ეკონომიკური პოლიტიკა არ განხორციელებულა კლასიკური მოდელის ჩარჩოებში და მათში ანარქიულობის ელემენტები ჭარბობდა. მითუმეტეს არ იქნა გამოყენებული მსოფლიოში ფართოდ აპრობირებული კეინზიანური მოდელი. ამიტომაცაა, რომ საქართველომ თავი ვერ დააღწია ეკონომიკურ კრიზისს, მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს და დღემდე ვერ შეძლო საბაზრო ეკონომიკაზე (რომელსაც აუცილებლად ახლავს სოციალური გარანტიები) გადასვლა.



*Rozeta Asatiani*  
*Doctor of Economic*  
*Sciences, Professor*

## **GLOBALIZATION, ECONOMIC THEORY AND GEORGIA**

### **Summary**

Economic theory has a central role in the world's economic development and management of the global processes. Economic trends and respective models determine the "rules of game" of the economic policy.

The genesis of the economic theory lay the foundation to the positive development of the globalization. However, due to the objective and subjective reasons, different negative effects has questioned the "mainstream" economic theory and the globalization process itself. The modern financial crisis caused the "intellectual collapse" of the monetarism and cast the doubts on the liberal economic policy even in USA.

Widespread notion in economic theory that the Keynesian era had finished is about to be revised.

Georgia in transition period did not use any classic model of the economic growth. The recommendation followed by Georgia were not appropriate for the country. This is the main reason for failure of economic reforms. There is no a single country in the world were the economic policy was not based on the Keynesian model of growth.

The main reason for the global financial crisis is in the lack of the macroeconomic regulation, restriction of the government regulation of the credit policy and expansion of the virtual economy. The Friedman's monetary policy has played the biggest role in this.

Today every country has suffered from the global crisis with negative effect on economic growth and aggregate supply rate. Logically the postulates of the Keynesian theory are resurrected. This

could be seen in active involvement of government in regulatory activity, increase of social benefits, decrease of taxes and financial aid to the businesses.

The banking system of Georgia inspired by some achievements in recent years has not established itself as a stable institution, which would be able to cope with the chronic shortage of capital, due to the various internal or external factors. Hence, it turned unable to cope with economic problems of the country. The crack in the banking system was evident before the beginning of the global crisis in 2008 and it has just widened by the global impact. Notably, the 2008 year's bottom line ended up with GEL 215 mln in aggregate loss.

The long-term loans to the construction industry has mainly promoted the import, not the development of the local industry. 20% of long-term loans was secured by mortgages. The liquidity risk of the banks was very high, which was safeguarded by the foreign financial institutions' credit lines. In 2007 they increased by 127%, compare to increase in volume of local deposits just by 55%. By the end of 2008 investment activity of the banks has sharply decreased. The situation was aggravated by the absence of the system of deposit insurance.

In this extraordinary situation the commercial banks began changing the strategic planning and risk management for the purpose of elaboration of new strategy.

## გამოყენებული და საორიენტაციო ლიტერატურა

- აბრალაგა ა.** ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბ., „ინოვაცია“, 2005;
- აბრალაგა ა.** გლობალიზაციის ლიდერი ქვეყნების სტრატეგია. „სოციალური ეკონომიკა“, №5, 2005;
- არჩვაძე ი.** რა ფერისაა მილიარდი? თბ., „მერკური“, 2002;
- არჩვაძე ი.** გლობალური ეკონომიკური კრიზისი – ნიშნები და ტენდენციები. „სოციალური ეკონომიკა“, № 1, 2009;
- ასათიანი რ.** მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1993;
- ასათიანი რ.** ეკონომიკის სერვიზაცია – საზოგადოების პოსტინდუსტრიული განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელი. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“. ეკონომიკის სერია, I ტომი. №2, 1993;
- ასათიანი რ.** გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ასპექტი. თსუ შრომები. „ეკონომიკა“, № 3-4, 2003;
- ასათიანი რ.** პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბ., საგამომცემლო ფორმა „სიახლე“, 2005;
- ასათიანი რ.** საქართველოს მდგრადი განვითარების ზოგიერთი ასპექტი გლობალიზაციის კონტექსტში. „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“. I საერთაშორისო კონფერენციის მასალები. 22-24 ოქტომბერი, 2008. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2008;
- ასათიანი რ.** საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში. „ეკონომისტი“, №4, 2009;

- ასათიანი რ.** გლობალური ფინანსური კრიზისი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოში. „სოციალური ეკონომიკა“, №6, 2009;
- ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. I ნაწილი. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2009;
- ასათიანი რ.** ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №6, 2009;
- ბარათაშვილი ნ.** გლობალიზაცია და საქართველო. „პოლიტიკა“, № 1-3, 2003;
- ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ.** პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001;
- გველესიანი მ.** ეკონომიკური კრიზისი: თეორია და რეალობა. პარადიგმა და პარადოქსები. „ეკონომიკური განვითარების ტენდენციები“. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბ., 2009;
- გლობალიზაციის პრობლემები: საერთაშორისო დისკუსია და ქართული ხედვა. „კომენტარი“, №1, 2003 (სარედაქციო წერილი);
- დავითაშვილი ზ.** ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ., „მეცნიერება“, 2003;
- თოდუა გ.** ეროვნული ფაქტორის როლი საერთაშორისო ეკონომიკაში და თანამედროვეობა. „ეკონომიკა“, № 4-5, 1997;
- იაკობიძე დ.** საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. თბ., „კომენტარი“, 2009;
- ისმაილოვი ელ., შაბაგა გ.** ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბ., „დიოგენე“, 2007;
- კაკულია რ.** გლობალური ეკონომიკა და სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების ასპექტები. „შრომები“. V ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2005;
- კანდელაკი ე.** კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია და თანამედროვე ევროკავშირი. „შრომები“. VI ტომი. საქართველოს ეკონომიკ-

ურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2008;

**კახნიაშვილი ჯ.** მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 1998;

**კორდონიე კ.** კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები.“ კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. ოქტომბერი, 2008;

**კრუგმანი ზ.** როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, №10, 2009;

**მაღაშია გ.** კრიზისი და განვითარება. „შრომები“. VIII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2010;

**მელიქიძე გ.** მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. სოციალურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2006;

**მესხია ი.** გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები. „ეკონომისტი“, №2, 2009;

**მესხია ი., კვარაცხელია გ.** გლობალიზაციისა და ეკონომიკური სუვერენიტეტის თავსებადობის საკითხისათვის. „სოციალური ეკონომიკა“, №3, 2003;

**მესხია ი.** ცხოვრების დონე და სიღარიბე საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. მაისი, 2008;

**მექვაბიშვილი ე.** ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ., „ინოვაცია“, 2009;

**პაპაგა გ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., „პაპა“, 2002;

**პაპაგა გ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005;

- პაპაგა გ.** პოსტერეკოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანატომია. „შრომები“. VI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2008;
- პაპაგა გ.** სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართული სინამდვილე და პერსპექტივები. „შრომები“. VII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2009;
- პაპაგა გ.** გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები). „შრომები“. VIII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2010;
- პაპაგა გ., ჩოჩელი გ.** გლობალური ეკონომიკური კრიზისის შესაძლებლობა და საქართველოს სტრატეგია. „საქართველოს ეკონომიკური მიმართულებები“, № 1, 2002;
- პაპაფილიძე ა.** მდგრადი ეკონომიკური ზრდის რისკები საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. თებერვალი, 2008;
- სამსონი ი.** განვითარების გზის ძიება: საქართველოს ამოცანები: „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. მარტი, 2006;
- სამსონი ი.** საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები საშუალოვადიან პერიოდში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. GEPLAC. თებერვალი, 2008;
- სართანია გ.** გლობალიზაცია, უმაღლესი განათლება და სამოქალაქო საზოგადოება. „სოციალური ეკონომიკა“, №5-6, 2001;
- საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა კოალიცია „გამჭირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში. თბ., თებერვალი, 2009;

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ (1977-2004 წწ.). თბ., „გეოკერია“, 2004;

**ჩიკვაძე თ.** გლობალური ცივილიზაციის ფორმირება და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება XXI საუკუნისთვის. „პოლიტიკა“, № 1, 1997;

**ჩიკვაძე თ.** საქართველოს ჰოლოგრამა და პროგრესის ფორმულა: თვითგანვითარების პრაქტიკული სტრატეგია ახალი ათასწლეულისათვის. „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“. V ტომი, თბ., სმსმ-სპსპი, 2000;

**ჩიქავა ლ.** გლობალიზაცია და შრომის საერთაშორისო დანაწილება. „მოამბე“. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. X ტომი, თბ., 2003;

**ჩიქავა ლ.** ინოვაციური ეკონომიკა. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2006;

**ჭითანავა ნ.** გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციები (კონცეფციურ-მეთოდოლოგიური მიდგომა). „საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“. VI ტომი. თბ., სმსმსპსპი, 2002;

**ჭითანავა ნ.** საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №9, 2004;

**ჭითანავა ნ.** ეკონომიკა – სახელმწიფო – გლობალიზაცია. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №10, 2004;

**ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ.** სოციალური ეკონომიკა. I ნაწილი. თბ., „ინოვაცია“, 2008;

**ჯიბუტი მ.** მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების უახლესი ისტორია და პერსპექტივები. „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“. ტომი XVI. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2001;

- ჰერსტი პ., ტომპსონი ბ.** გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. თარგმანი ინგლისურიდან. თბ., „დიოგენე“, 2005;
- Арнания-Кепуладзе Т.** Теория индивидуальных предпочтений: гетеродоксия против ортодоксии. „ეკონომისტი“, №4, 2009;
- Асатиани Р.** Посткоммунистический переходный период в экономике Грузии. "Кавказ & Глобализация". Т.3(2-3), "Ca&CC Press". Швеция, 2009;
- Асатиани Р.** Феномен глобализации и его влияние на национальные экономики (на примере Грузии). "Кавказ & глобализация", т. 1(3), Швеция, 2007;
- Асатиани Р.** Глобализация и экономическая теория."Кавказ & глобализация", Т. 2(1), Швеция, 2008;
- Бек У.** Что такое глобализация? Ошибки глобализма - ответы на глобализацию. Перевод с немецкого. М., "Прогресс-традиция", 2001;
- Белл Д.** Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. М., "Academia", 1999;
- Беридзе Т.** Грузия в 2008 году: политические и экономические итоги. „შრომები“. VII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., საგამომცემლო ფორმა „სიახლე“, 2009;
- Быков А. Н.** Глобализация и либерализация (вопросы институционального совершенствования в контексте российских обществ-мировых интересов). "Проблемы прогнозирования", № 5, 2000;
- Галкин А.** Глобализация и политические потрясения XX века. М., 2005;
- Гэлбрейт Дж. К.** Экономические теории и цели общества. Перевод с английского. М., "Прогресс", 1979;
- Зевин Л.** Проблемы регулирования глобальных экономических процессов. "МЭ и МО", № 7, 2002;
- Кейнс Дж.М.** Общая теория занятости, процента и денег. Перевод с английского. М., "Прогресс", 1978;
- Колодко Г.** Глобализация и сближение уровней экономического развития: от спада к росту в странах с переходной экономикой. "Вопросы экономики", № 10, 2000;
- Конфорт М.** Открытая философия и открытое общество. Перевод с английского. М., 1972;
- Мартин Г., Шуман Х.** Западная глобализации: атака на процветание и демократию. М., Издательский дом "Альпина", 2001;



- Папава В.** Некроэкономика – феномен посткоммунистического переходного периода. "Общество и экономика", №5, 2001;
- Папава В.** Проблема зомбирования посткоммунистической некроэкономики. "Вестник Института Кенана в России". Выпуск 15. М., 2009;
- Папава В., Токмазашвили М.** Фундамент некроэкономики в постреволюционной Грузии. "Кавказ & Глобализация", т. 1(4), 2007;
- Перкинс Д.** Исповедь экономического убийцы. 4-е издание. Перевод с английского. М., "Претекст", 2007;
- Портер М.** Конкуренция. Перевод с английского. Санкт-Петербург, Москва, Киев. "Вильямс", 2000;
- Портной М.** Экономика США сегодня. «Экономист», №3, 1992;
- Пригорьев Л., Салихов М.** Финансовый кризис – 2008: вхождение в мировую рецессию. "Вопросы экономики", № 12, 2008;
- Сильвестров С.** Мировое хозяйство: новые тенденции развития. «Российский экономический журнал», №8, 2006;
- Симония Н.** Социально-экономические и политические предпосылки международного терроризма. "Банк экономических идей", № 1, 2006;
- Стиглиц Дж.** Глобализация: тревожные тенденции. М., "Мысль", 2003;
- Стиглиц Дж.** Многообразные инструменты, шире цели: движение к пост-Вашингтонскому консенсусу. "Вопросы Экономики", № 8, 1998.
- Тураев В.** Глобальные вызовы человечеству. М., 2002;
- Яковец Ю. В.** Глобализация и взаимодействие цивилизации. М., "Экономика", 2001.
- Япония: смена модели экономического роста. Отв. ред. **Лебедева И.П., Кравцевич А.И.** М., "Наука", 1990;
- Albrow M.** Introduction in "Globalization: Knowledge and Society". London: Sage, 1990;
- Asatiani R.** The Phenomenon of Globalization and its Influence on National Economics (A Case Study of Georgia). "The Caucasus & Globalization". Vol. 1(3), Sweden, 2007;
- Asatiani R.** Globalization and Economic Theory. "The Caucasus & Globalization". Vol. 2(1), Sweden, 2008;
- Globalization: Knowledge and Society. London, "Sage", 1990;
- Harris R.L., Seid M.J.** Critical Perspectives on Globalization and Neoliberalism in Developing Countries. Boston, 2000;

- Krugman P.** The Return of Depress on Economics and the Crisis of 2008. New-York: W.W. Norton & Company, 2008;
- Lewitt T.** International Business, the Challenge of Global Competition. "Harvard Business Review", McGraw-Hill, 2008;
- North D.** Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge, "Cambridge University Press", 1990;
- Ohmae K.** The Borderless World; Power and Strategy in the Interlinked Economy. London: Fortana, 1990;
- Ohmae K.** The Rise of the Region State. Foreign Affairs, Spring, 1993;
- Papava V.** Necroeconomics - the Theory of Post-Communist Transformation of an Economy. International Journal of Social Economics, Vol. 29, №9/10, 2002;
- Papava V.** Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism. New York, "iUniverse", 2005;
- Papava V.** The Essence of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What about the European Choice? "Georgian International Journal of Science and Technology." Vol. 1, Issue 1, 2008;
- Papava V., Chocheli V.** Financial Globalization and Post-Communist Georgia. New-York, "iUniverse", 2003;
- Thurrow L.** The Problem of Social Cost. "Journal of Law and Economics". Vol. 3, 1990;
- Thurrow L.** The Future of Capitalism. New York, 1996;  
[\[http://www.chelt.ru/2001/12/uzbasbashianz-12.html\]](http://www.chelt.ru/2001/12/uzbasbashianz-12.html);  
<http://www.marketoracle.co.uk/Article8346.html>;  
[www.fundforpeace.org/web/index.php?option=com\\_content&task=view&id=391&Itemid=549](http://www.fundforpeace.org/web/index.php?option=com_content&task=view&id=391&Itemid=549);  
<http://www.bls.gov/data/>;  
<http://www.devex.com/articles/zombie-economics>;  
<http://globalization.kof.ethz.ch/>;  
[www.mbg.ge/uploads/depositarycorporeshen\\_qartulad/assets\\_liabilities\\_of\\_commercial\\_banks\\_totalgeo.xls](http://www.mbg.ge/uploads/depositarycorporeshen_qartulad/assets_liabilities_of_commercial_banks_totalgeo.xls);  
<http://www.moneyweek.com/news-and-charts/economics/how-zombie-companies-suck-the-life-from-an-economy-14089.aspx> (**Sepek J.** Nov 18, 2008);  
<http://www.statistics.ge>

## შინაარსი

რედაქტორისაბან	3
შესავალი (ეკონომიკური თეორია ახალი გამოწვევების წინაშე)	5
გლობალიზაცია დროის მოთხოვნა და მსოფლიო პროცესის გამომავალი	8
გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	21
გლობალიზაციის ნეპატიური შედეგები	26
საქართველო გლობალიზაციის კონტექსტში	29
ეკონომიკური თეორიის როლი ეკონომიკურ პოლიტიკასა და საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში	39
დასკვნა	68
გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო (რეზიუმე)	70
GLOBALIZATION, ECONOMIC THEORY AND GEORGIA (Abstract)	73
გამოყენებული და სარეკომენდაციო ლიტერატურა	75

**ROZETA ASATIANI**  
**GLOBALIZATION, ECONOMIC THEORY**  
**AND GEORGIA**

**(in Georgian Language)**

**Publishing house “Siakhle”**  
**Tbilisi 2010**

---

---

საბეჭდი ქაღალდი 60x84<sup>1</sup>/<sub>16</sub>;  
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5,00;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,50;

---

---

გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი 0162, ყიფშიძის ქ. 10.  
ტელ: 899 530487. E-mail: siakhle@gmail.com